

345 /3
1892

№ 1

ବିଜ୍ଞାନ ପରିଚୟ
ଓ ପରିମାଣ କାର୍ଯ୍ୟ




1892

შ 0 6 ა ა 6 ს 0

ქურნალის «ჯეჯილი»-სა

ტე
წე

I.	ახალ წლის მილოცვა, ლექსი თ. თაზიკაშვილისა	3
II.	შობა-ლაშის მოლოდინი, ა. თ.-წ—სა.	4
III.	ტატეს ბედი-კვერა, საახალწლო ლექსი ზეზიასი	10
IV.	საშინელი შემთხვევა, მოთხრობა ეპ. გაბაშვილისა.	12
V.	ობოლი და დედა მისი, ლექსი აკადისა.	19
VI.	ჩვენი ძევლი გმირები, ისტორიული სურათები გ. წერეთლისა	20
VII.	ხალხური ლექსი, სიმღერა მევენახისა.	42
VIII.	თილისმა მტრედის გული, ზღაპარი ეპ. ასათანის გაგრჩილი.	26
IX.	ვეფხის-ტყაოსანი, ნაამბობი მოზრდილი ყმაწვილებისათვის გ. ი—სა	33
X.	პატარ პატარა სამეცნიერო წერილები, წერილი X, იღიულისა..	44
XI.	სამყარო, თვი მეექვსე და მეშვიდე, ერ. ბაქრაძესი	53
XII.	ციცუნია, ლექსი მღვიმელისა	65
XIII.	რაჭული ახალ წლის მილოცვა, სამ. დათვშიძისა	69
XIV.	შრუშანა, ხალხური ლექსი, ჩაწერილი მისგანვე	--
XV.	ბევრის მაძებარი დარჩა მშიერი	70
XVI.	ანდაზები, გამოცნები, ლექსები, ზრა, სამათემატიკო გამოცნა, შარადა და რებუსი	71
XVII.	„დედის რჩევა“ სიმღერა ნოტებზედ გადალებული, ზ. ჩხიფაძისა	--



၆၁၂၂၁၇၃၀၉၈၂ ၆၇၄၁၀၈၅၀၁၆၂

፩፻፭፭፯፪፪

იზარდე, მწვანე ჯეჯილო,
დაპურდი, გახდი ყანაო!...

१०८

No I

89

వార్షిక ధర్మాలంగా

—X—

ଓଡ଼ିଆ ଉତ୍ସବ

სტამბა ი. ა. მანევერტოვისა, ლორის-მელიქოვის ქუჩა, № 28.

1892



ПОСОДА ДЛЯ СВЯЩЕННОГО

Дозволено цензурою. Тифлисъ, 19 Декабря 1891 г.

Типографія Я. А. Мансветова, Лорись-Мелик. ул., д. Мдивани.


ა ხ ა ბ წ ლის მილოცვა



გილოცავთ ახლის წელითა,
გლოცავთ მუჟის სელითა,
გიმატოსთ დღე და სიცოცხლე,
დაბერდით თეთრი წვერითა.
მრავალს და მრავალს ახალ წელს
მშვიდობით დაესწრენითა!

მეგლოცავთ, ღმერთმა და გლოცოსთ,
ოოგორც თქვენს კულსა სწეურიან!
გვიცოცხლოს ჩვენი სამშობლოც,
ირგვლივ რომ მტრები უვლიან.
აკმაროს სისხლი და ცრემლი,
რაც დღემდის მოუწერია!!

თ. რაზიკაშვილი



საქართველოს
მინისტრი
გიგანტი

შობა-ლამის მოლოდინი

I



იდი წნის ამბავს მოგითხოვთ, მე მაშინ შვიდი
წლისა ვიქნებოდი.

შობის დღესასწაული გვიახლოვდებოდა და ჩვენ
ოჯახში ბევრს მელაპარაკებოდენ საჩუქრებზედ, ომელიც
ჩემ ფეხსაცმელებში უნდა მეტოვნა.

ჩვენში ჩვეულება იუო, ფეხსაცმელები ბუხარში უნდა
ჩაგვედგა და იძამი მეორე დღეს ვიზოვიდით ტკბილეუ-
ლობას, ომელსაც ქიისტე—ღმერთი შობა-ღამეს ჩაგვი-
წეობდა.

ჩემი თავი დაჯილდოების ლირსად მიმაჩნდა, რადგან
სკოლაშიაც კარგად ვსწავლობდი და ტანისამოსის შემო-
გლეჯასაც გადავიჩიე.

ამასობაში ფიქრებმა გამიტაცეს, ოომ ვაი თუ, რო-
გორც ლირსი ვარ, ისე არ დამასახუქრონ, ან რა ჩავიდოდა
ჩემ ჰატარა ფეხსაცმელებში? ბევრი, ბევრი, ერთიანობი კუ-
ნატი, ან ცოტაოდენი შაქარლამა. მე გადავწევიტე ჩემი
ფეხსაცმელების მავივრად მეშოუნა ვისიმე დიდონი ჩე-
ქმები.

თვალებს აქეთ-იქით ვათაციცებდი, ეკელგან დავემებდი
და ბოლოს ჩარდახში, საცა ბევრი ფალას-ფულასი და
ბარგი-ბარსანა ეჭარა: დაქანგული ხმალი, გადატეხილი

შები, რკინის ჩახქანი და სხვ., იმათში ვიჩოვე ერთი წევრა
ლი დიდუელიანი მშვენიერი ჩექმები.



ღმერთო! ჩემო! მერე რა უშველებელი ჩექმები იყო!
მართალია, მენასა ცხენოსანი ჯარისკაცების ჩექმები, მა-
გრამ იმოდენა ჩექმებს წარმოდგენითაც ვერ წარმოვიდგენ-
დი. რაღაც ზღაპრული რამ იყო!

სშირად მელაპარაკებოდენ ნანა ჩემზედ, ესე იგი, დედი-
ჩემის მამაზედ, რომელიც ადრე ჯარისკაცი უოფილიყო,
მერე ექიმიბა დაწერო, სოფლებში თურმე ცხენით დაბარე-
ბოდა, კაი წარმოსადეგი კაცი უოფილიყო. უთუოდ ამ ჩექ-
მებს მაშინ ხმარობდა. ამაზედ ფიქრს მივეცი თავი.

დიდ სანს დაუცემოდი ამ მოჩვენება ფეხსაცმელს, მერე
თვალს გადავიტანდი ჩემ პატარა ფეხებზე და ჩემ თავს ვუ-
კითხებოდი, რომ, განა, როდისმე გამეზრდება იმოდენა
ფეხები, რომ ეს უზარმაზარი ჩექმები გაძომადგეს-მეოქი.

ამ ფიქრებში რომ ვიუავ, სადამოზედ კიდევ დაიწევს ლაპარაკი, რომ შობა დღეს-ხვალ არისო.

ფიქრში გამიეღვა — ჩანა ჩემს რომ ოდესმე ბუსარში ჩაედგა ეს ჩემები, ხომ ქვეანაზედ ტკბილეულობა აღარ სად არ დარჩებოდა-მეთქი, სულ ამაში ჩაეტევოდა. აი, მას შინ გამირბინა თავში აზრმა, რომ ჩემი ფეხსაცმელის მაგიერად ჰაპი ჩემის ჩემები უნდა ჩამედგა ბუსარში!

შობის წინა დაძეს ავედი ჩარდახში და დაუწევ ამ უზარმაზარ ჩემებს წმენდა, შიგ რომ ტკბილეულობა ჩაეწეოთ, არ გაფუჭებულიერ. მისი გაწმენდა ადვილი კი არ იყო! შიგ დაბუდებულიერ სამუდამოდ მთელი ობობას ოჯახი. მერე იმის მტვრის გაბერტეამ ილაჯი გამიწუვისტა, ბურუსივით იდგა. რამდენი ვწმინდე, რამდენი ვწესე ღრუბლით, მაგრამ მაინც შმორის სუნი ვერ გამოვლიე. ბოლოს ჭარზედ, ფანჯრის გარედამ დავაუერე და მხოლოდ მილის დოორომ დადგა, ფრთხილად, ლოგინ ქვეშ ამოვდე.

ცხრა საათზედ ჩემ დასამინებლად რომ შემოვიდა ჩემი გადია, ერთი კიდევ მომავონა.

— გესმის, არ დაგავიწედეს!

— არა, არა! — ვუპასუხე მე, — დასამტკიცებლად რომ არ დამკიწევია შობის დამე, საჩქაროდ მოვარბეინე ჩემი ჰაწია ფეხსაცმელი.

მაგრამ ჯერ გადიას ქარი არც კი გაეხურა, რომ მე ერთ წამს ქვემაგებიდამ გადმოვხტი და ბუსარში ჩავდგი ჰაპი ჩემის უზარმაზარი ჩემები, რომლის უელები მიეგვარ ნებოდა დიდ ხურჯინის თვლებსა; დაიმედებული რომ ბევრ საჩუქარს მივიღებდი, ტკბილად ჩავიძინე.

II

შეა დამე იქნებოდა რომ სიომ სახეზედ დამკრა, თუ თქოს ჩემი ოთახის ფანჯარა ვიღამაც გააღო. მთვარეს კამკაში გაჭერნდა და ჩემი ქვემაგებიდამ მოხანდა მოლად დათოვლილი სახლების სახურავები. ამის დანახვაზედ დამაწევებინა კანკალი, საჩქაროდ თავზედ საბანი გადავიხურე და უკრთასმენად გადავიქცი.

— ვინ გააღებდა ჩემ ფანჯარას? რასაკვირებელია ქრისტეფორითი! სოლო ის არ შეეძულებოდა ამ საშინელ სიცივეს.

ამ ფიქრებში ვიუავ, რომ ერთბაშად ფანჯარა განათდა და ქუჩიდამ შემომესმა ფრთების ტყაცუნი, არ მოვტევუბულვარ, ეს იუო ქრისტე ღმერთი გარშემორტყემული ან გელოზებით. ოთახი ერთბაშად გაცვისო. დათბა, აღარა ციოდა, თუმცა ფანჯარა ისევ ისე ლია იუო. ოთახში მშვენიერი სუნი დატრიალდა, თითქოს კოზინაჟისა, ჭალვისა და შაქარლამის.

ეს მშვენივრი სუნი მოდიოდა კალათებიდამ, რომელა ნიც თავზედ ედგათ თეთრად შემოსილ პატარა ანგელოზებს. ქრისტე ღმერთს გარს ესვევოდენ და მის ბრძანებას ელოდენ.

რა დაინახა ქრისტე-ღმერთმა შანი ჩემის ჩექმები ბუსარში გაოცებული შესდგა, გაჯავრებული და გაალმასებული ხელები აღაპერა წერისაკენ, მერე მოუბრუნდა თავის ამაღლას და თავით ანიშნა არი ჩექმა, რომლის უელის პირები ტკბილეულობის დანახვაზედ თითქოს ერთისორად.

გადიდდა. ამაზედ შატარა ანგელოზები მოჰქმენ ხარხარს. წოვი იმათვანი აცოცდა ბუხარში და იქიდამ ჩასცეპოდა ამ ჩექმებს, თითქოს ასეთი უფროული არსად არ ენახათ.

ამ მსარულობაში ხოლო ქრისტე-ღმერთი სასტიკად გამოიურებოდა, მისწირმოსწირა ანგელოზები, დაავლო ხელი პანი ჩემის ჩექმებს და შეეარა ჩემ ლოგინ ქვეშ. მაგიგრად ბუხარში ჩადგა ჩემი ფეხსაცმელები.

— მართლა რომ ურიცოდ მოვიქეცი, ვფიქრობდი მე და თან სირცხვილით საბან ქვეშ ვიმალებოდი.

— რამ ჩამადენინა ეს საქმე?

სვინიდისმა უფრო დამტანჯა, როდესაც ვნახე, ქრისტე-ღმერთმა როგორი მუქარით თითი დამიწნდა და მერე თავის ამალას ანიშნა ორი ჩექმა, რომელიც ისე ღრმა და დიდი იყო, რომ რაც ანგელოზებს ტკბილულობა ჭირნდათ კალათებში, ერთ ნაძლევად გამოჩნდებოდა იმ ჩექმებში. — სხვა უბნელების უმაწვილებს რადა ერგებოდათ? რას მიიღებდენ ლარიბი ბავშვები, რომელნიც ჩუსტებს ჩასდებდენ ბუხარში? ამაზედ რატომ არ მოვიფიქრე! მართლა რომ თავ-მოუვარე და გაუმაძლარი ველფილვარ—ვფიქრობდი ნაღვლიანად.


— დროს ნუ ვპარგავთ, შეუდგეთ გზას! — სთქვა ქრისტე-ღმერთმა.

ანგელოზებმა დაავლეს ხელი თავიანთ კალათებს და გაჰქვენ ქრისტე-ღმერთს.

— ცარიელი დამაგდეს, ცარიელი! — წამოვიძახე ნაღვლიანად, — ასია ჩემზედ, კვლავ ჭეუას ვისწავლი.... მაგრამ ეს რა აშბავია, ქრისტე-ღმერთი ისევ დაბრუნდა, თითქოს

რამე დავიწერებიათ. სელში ქაღალდი უჭირავს, ზედ რა-
 ღაც დასწერა, მერე ქაღალდი ოთხად დაკეცა და ჩემ ფეხ-
 საცმელში ჩადო. ესლა კი ნაძვილად წავიდა. სელუმელ-
 რედ დაჭმერა ცივმა ჭავერმა და გამიუინა შებლი, არე-მარე
 აღარ იუო განათებული, აღარ მოჩანდენ თეთრად სახლის
 სასურავები. ვიღამაც ფანჯარა ჩაჭკეტა და მე მოქანცული
 თავი მიღს მივეც.

შობა დღეს ჩემ ჩექმებში ვიპოვე ქაღალდის ნაკუში,
 რომელზედაც ეწერა მხოლოდ ერთი სიტყვა «გაუმაძღარი!»
 ნაწერის სელი მიეგვანებოდა დედი ჩემის სელს.



რაფა თქმა უნდა, რომ ჩემ თავის გარდასავალს არ
 ვამსელდი. როგორც კი ღრო ჩავიგდე, ზანი ჩემის ჩექმე-
 ბი ისევ თავის ადგილას ჩარდახში ავიტანე, ისევ ძველ
 კონკებშა შევინახე და მე შობა დღეს დავრჩი ზირში ჩალა-
 გამოვლებული.

ტატეს ბედიუკვერა



(საახალწლო)


I

უხელ ტატე გაჯიუტდა:
 „მე ხომ ძილი მიზამს უერას!
 არ დაუსწევები, თუ არ ენახავ
 გამომცხვარს ჩემს „ბედი-კვერას!“
 ოჯახი წევს. შუა ცეცხლზე
 კეცი კეცსა დაპნდობია,
 „საფხეკელი“ სახლს აყრუებს;
 ტატესთვის ეს უგრძნობია.
 იქვე ტახტზე დაეძინა
 „ბედი-კვერას“ ლოდინშია.
 დედას ვეღარ მოუცლია,
 ჩაწვინოს ლოგინშია.
 დრო არა აქეს ოჯახისა
 მომავალის ცნობაშია;
 „ხარ-კვერით“ და „ბედი-კვრებით“
 ბედის გამოცნობაშია...
 „ბედი-კვრებში“ ჩაუბეჭდა —
 ეისაც რისა ჰქონდა ნიჭი.
 ერთზე „წიგნი“ გამოსახა,
 მას სწავლობდა ტატე-ბიჭი...
 გამოაცხო... ჩაალაგა...
 „ხარ-კვერს“ ახლო მისცა ბინა,
 რომ დილაზე „მეკვლესათვის“
 საჩქაროზედ მიეწვდინა...

II

გათენდა. კრინტი არ იძრის.
 მიუუჩებულა სოფელი,
 ახალწელიწადს ულოცავს
 ტატეს თავისი მშობელი:
 „დაესწარ მჩავალ ამდროსა
 მამით, დან-ძმებით, ტატეო!
 როგორც ამ „ბედი-კვერამა“,
 ისე შენ მოიმატეო!
 აი, რო ამობურთულა —
 შენი „წიგნები სწერია“.
 იმედი არის, შეილიკო,
 არ გაახარო მტერია! ..
 აჲა, ეს თაფლი-შაქარი,
 დაბერდი ასე ტკბილადა.
 იცოცხლე თვისთა ნუგეშად,
 დუშმანთა გასაწილადა!“

ზეზეა.



ს ა შ ი ნ ე ლ ი შ ე მ თ ხ ვ ე ვ ა

(საშობაო მოთხრობა)



ვანე დარბაისლიშვილს ორი შეიღლი დარჩა ცოლის სიკვდილის შემდეგ: თერთმეტი წლის თაფლო და რეისა შაქრო. დიღხანს იფიქრა ივანემ, დიღხანს იყოყმანა, მაგრამ მაინც გადასწყვეიტა ობლები ჩაეყვანა თავის სიდედრთან, რომელიც თბილისში სკოვრობდა.

ყმაწვილები ბებიამ დიდი აღტაცებით მიიღო, მიიკრა გულზედ და ცხარე ცრემლებით გადაბანა მათი პატარა პირი სახეები, რომელნიც ისე ძრიელ ჰეგანდნენ იმის საყვარელ შეილს მართას, ამ საცოდავების დედას.

ივანემ პატარეები დააბინავა სკოლებში და წავიდა ერთ შორეულ ქალაქში, სადაც ეს ემსახურებოდა.

პირველში ბებია, დაბრუნდებოდნენ თუ არა ბავშვები სკოლი-დამ, მხურვალედ გადაჰკოცნიდა და წინ გაუშლიდა სხეა-და-სხეა საკულეველს, ბევრჯელ ჭრელი უზალთუნებით ჯიბეებსაც აუკსებდა, მაგრამ ამ გვარმა ტკბილმა ცხოვრებამ დიღხანს არ გასტანა. სალომე მურალოვისა გასაცარი ხასიათის დედა-კაცი იყო: ანჩხლი, ძუნწი და საშინელი უსამართლო ყველასთან, ვინც კი იმასთან დამოკიდებული იყო რითიმე. აი, შეიღლი-შეიღებზედაც თითქო მზე და მთვარე ზედ ამოსდიოდა, მაგრამ თანაც აუცილებელ საჭიროებად სთვლი-და ბავშვების სასტიკად და შეუბრალებლივ მოქცევას. მეტადრე მაშინ გაკაპასდა და აყაყანდა, როდესაც ივანემ დანაპირევი თეიური ხუთი თუმანი თან-და-თან შეამცირა და ექვს თვეს შემდეგ მხოლოდ ორზედ-და ჩამოახტუნა.

— ქა, ამისთანა საქმე გაგივონათ,—შესჩივლებდა ხოლმე სა-ლომე სტუმრებს, ბავშვების მოურიდებლად, ორ-ორი იანგანი თავს მომახვია მოხუცებულ დედა-კაცს და ლუკმის ფასსაც აღარ იგზავნება.

— კარგად იცოდეთ, კარგად, ხშირად ეტყოდა შეიილი-შეი-ლებს, რომ ობლები ოხრები ჩემი საცხოვრებელი ხართ, რომ მოყვნდომო, შიშმილით სულს ამოგართმევთ! თვალი კი გახეთქია თქვენ მამა ივანუას, ასე არა ქნას, ის ორი თუმანიც აღარ გამო-მიგზავნოს.

თაფლო, მამის ამ გვარ მოხსენებაზედ, აენთებოდა, გული ცახცას დაუწყებდა და მზად იყო მამისთვის სარჩლი გაეწია, მა-გრამ სიმართლე ბებიის სიტყვებისა ბავეს მაგრა უკრავდა და თვა-ლებიდამ მარტო ცხარე დიდრონი ცრემლები გადმოსცეიოდა ხოლმე. სალომე ამ ცრემლების დანახვაზედ მოლბებოდა, კილოს შეიცელიდა და ცდილობდა თაფლოს გული რითიმე მოელბო.

— ჰო, კარგი, ტუტუცო, რა გატირებს, განა მართლა თქვენ-თეს მშურს რამე! აბა, რად მინდა ჩემი ცხოვრება, (სალომეს ქა-ლაქში დიდი სახლები ჰქონდა და ბანქში კარგა ბლომად ფული) თუ არ თქვენთეს, მაგრამ მამა შენი ივანუა მაინც მტყუანია. აი, აგერ ორი თვეა წიგნიც არ მოუწერია. ვინ იცის, მეორე ცოლიც შეირთო და თქვენ საწყლებო, მარტო ჩემს ანაბარად დარჩეთ; აქ სალომეც დაიწყებდა ტირილს და ამათი ცრემლები შეერთებოდნენ საერთო მწუხარებაში.

უთანხმოება ბებია შეილი-შეილ შუა უფრო ხშირად პატარა შაქროს შესახებ ხდებოდა: ის საშინელი ცელქი, მოუსვენარი ბავშვი იყო და სალომე გაუწყვეტლივ სწყევლიდა და ხშირად მისტყებდა ხოლმე. მაგრამ ყველაზე ძრიელ გულს უკლავდა თაფლოს ის გა-რემოება, რომ წამ-და-უწუმ მის ქას მშიერს, უსადილოდ აყენებდა. — დიდედა, — ცრემლებით საესე თვალებით ეტყოდა სალომეს: — რო-გოცრ გნებავთ, ისე დასაჯეთ და მშიერს კი ნუ დააყენებთ შაქ-როს, მე უმავისოდ არ შემიძლიან პირში საჭელი ჩაუშვა.

— არა, რაც მითქვამს, ისე უნდა იყოს,— სასტიკად უპასუხებდა სალომე და თითქო თაფლოს ჯიბრზედ, უფრო დიდი ხნით ულევდა შაქროს კუჭს სიშშილით.

თაფლოს მამის ამბავიც აღარ მოსდიოდა რა და მუდამ თვალ-ცრემლიანი და დაფიქრებული იყო. სუსტი, საშინელი მერძნობიერი ბავშვი, მშობლებში აზიზ-მაზიზად აღზრდილი, თაფლო თავის ბებიის სახლში ოთხად მოიკუნტა, გული ჩაითხრო და იმას გაცინებულს, მხიარულს მოჭიკვიკეს თავის დღეში ვეღარავინ დაინახავდა. საღამ-საღამოობით, ბნელაში, მანამ სანთელს (სალომე სანთელს ძლიერ გვიან აანთებინებდა ხოლმე) აანთებდენ, გვერდს მოუჯდებოდა თავის პატარა შაქროს, გადაჰვევედა ხელს კისერზედ და ჩუმად ჩასჩურ-ჩულებდა ალერსიან, ტკბილ სიტყვებს:—დაიცა ჩემო პატარა ბიჭუ. ნი, მამა მალე ჩამოვა, ცალკე დაღვება და ჩვენც თავისთან გადა-გვიყვანს. მაშინ ჩვენ პურს ვეღარავინ დაგვაყვედრის, კიდობანს აღარავინ დაგვიკრავს, თამაშობას აღარავინ დაგვიშლის...

შემოდგომაზედ, როდესაც სალომე თავის შეილის-შეილებით სოფლიდგან ქალაქს ბრუნდებოდა, ერთმა ქვრივმა დედა-კაცმა მო-ჰვერა თავის პატარა გოგო და სთხოვა: თქვენის სულის გულის-თვის, გამოზარდეთო.

— ქალბატონო, ჩემი მარო თუმცა ჯერ ცხრისა მეტისა არ არის, მაგრამ თქვენი სიამოვნება კი შეუძლიან; ხელზედ გემსახურებათ და დიდი მოსამსახურის ოღნობას გაგიწევთ. მე მაგას როგორ მოვიშორებდი, მაგრამ ვანა არ მოგეხსენებათ ქვრივ-ოხრის ამბავი, სამი მაგაზე უფროსი სხვა მყავს და მარტო გამოკვებასაც ვერ აუვალ სხვა რომ არა იყოს-რა.

— ჰო, გენაცეალე, ბებილოჯან, ხვეწნით უთხრა თაფლოშ ბებიას. მე მაგას წიგნს ვასწავლი, კანვაზე კერეას, ერთად ვითამა-შებთ ხოლმე. .

— კარგი, აეიყვან! — დიდ ფიქრ შემდევ სოქეა, სალომემ, — მხოლოდ ათის წლის ვაღით, რომ იმაზედ აღრე შენ არ შეგეძლოს არც გათხოვება და არც სახლში წამოყვანა.

საშინელი შემთხვევა

ქერიები ატირდა, მაგრამ მაროს დატოვებაზე დასთანხმდა. მარო შიშით ცახცახებდა, მაგრამ თაფლომ მიუალერსა, თავისი კაბა გამოურბევინა, ჩაუკავა, თავი გადაბარუხნა, მუჭში შაქრის ნატეხი ჩაუდო და დაშოშმანა.

ამ დღიდამ თაფლო ჰპატრონობდა, შაქროს გარდა მაროსაც და მაროს პატრონობაში უფრო დიდ ხალის და სიყვარულს იჩენდა; შაქრო მხიარული, ცელქი, გულ-გაუტეხელი ბაჟშეი იყო, ბების ტუქესას ბექრს არას ეპუებოდა და მარო კი მხდალი, უსიტყვო, საცოდავი სოფლელი რეგვენი. თაფლო, ყოველ თავისუფალ წაში მაროს ლოლიობაში ატარებდა: როგორც მშობელი დედა, ისე უვლიდა, ასწავლიდა, უკერავდა ტიკინებს, რთავდა, ბევრჯელ უსუსური ბაჟშეივით ნანას ეტყოდა და ისე დააძინებდა. თაფლოს ჩეცულებრივმა ობლობის სევდამ თითქო კიდეც გადუარა და ყოველ მაროს ცელქობაზედ გულიანად გადიკასკასებდა ხოლმე.

მაგრამ რამდენათაც უფრო უმევობრდებოდენ ერთმანეთს თაფლო და მარო, სალომე იმდენად უფრო ანჩხლობდა. ამას ვერ წარმოედგინა, რომ კეთილშობილი ქალი ასე მითვისებოდა გლეხის მაწანწალა გოგოს და მთელი დღე სულ იმაზედ კაპასობდა: ვის გაუგონია, თავადის ქალმა ჭუჭყიან გლეხის შეილს თავი დავარუხნოს, გვერდ მოისვას, წამ-და-უწუმ თვალებში ჰკოცნოს და ამ სიტყვებთან წამოჰკრავდა თაფლოსთან სკამზედ ჩამომჯდარ მაროს და კუთხეში მიაგდებდა: „აი, შენი ალაგი, შე წუწკო, შენა!“

თაფლო ყოველ ამ შემთხვევაში გულის კანკალით წამოვარდებოდა, უნდოდა როგორმე დაეფარა თავის საყვარელი პატარა არსებია, მაგრამ ბებისთან რას გააწყობდა, რამწამ ბებია თვალს მოაშორებდა, მაინც არ აკლებდა მაროს ალერს, სწავლას და ამითი საშინელი ჯიბრი გამოიწვია ბებიისა; სალომე მაზლის ცოლად გაუხდა თაფლოს და ყოველ დღე, ყოველ წუთს ჩხუბს და ვაი-ვაგლახს არ აკლებდა; ამის ჯიბრზედ საცოდავ გოგოს სჩქმეტდა, ქოჩორს აკლეჯდა, და აუტანელ ჯაფას აყენებდა.

თაფლოს მწუხარება, ცრემლები და გულჩახვეულობა თან-და-
თან მატულობდა.

აი, დადგა საშობო დღესასწაულებიც და ეს სანატრელი დრო
ყველა ყმაწვილისათვის ჯოჯონეთად იქცა საცოდავი თაფლოსათვის.
უიმისოთ დილით მაინც დამშეიდებული იყო სასწავლებელში და
ეხლა კი მთელი დღეობით ჩხუბი, ტირილი, ცემა და შეუწყვეტელი
ლანძღვა-გინება სალომესი მთლად ათროვლებდა ამის ძარღვებს.
მეტადრე ამას ჰკულავდა მამის ჩამოუსელელობა. ორჯელ-სამჯერ მოს-
წერა მოშეველება, ამ საშინელ მდგომარეობიდან გამოყვანა, მაგ-
რამ ის სამსახურს თავს ვერ ახწევდა და ამათ მოლოდინს ბოლო
არა ჰქონდა.

ახალ წლის წინა ღამეა. სალომე დიდ ფარაფულიშია, მოსამსა-
ხურეს უქიშტინებს, ამზადებინებს ყველა ფერს ხეალინდელი დღესა-
სწაულისათვის. ბუხარში ცეცხლი ანთია, ზედ ზედადგარია გამარ-
ული და ქვაბში თაფლი ჩუჩუნებს.
იმავე ოთახში თაფლო და შაქრო ჩუმად სხედან სტოლთან, და რო-
გორც ახალ წელიწადს და გოზინაყს შეეფერება, სხვა ბავშვებივით
არ მხიარულობენ. ამათ აფონდებათ თავის სახლი ახალწელიწად
ღამეს ამ ორი წლის წინათ, თავის ტყბილი დელ-მამა, თავის გატე-
ნილი ყუთები მრავალის საახალწლო საჩუქრებით და ჩუმათ არიან,
ჩუმათ არიან იმიტომაც, რომ იციან ბებია ხმაურობას არ მოუწო-
ნებს.

კუნჭულში პატარა სკივრზედ დარბაისლურად წამომჯდარა მა-
რო, კალთაში დიდი ლანგარი უდგია, ნუშა ფუქენის. სალომე ქა-
ფუქირით თაფლს უნელებს, რომ არ გადმოვიდეს. პატარა ლამპა
ოდნავ ანათებს ამ დაღვრემილ სურათს; მხოლოდ ჭრიჭინას გაუდის
ჩეულიბრივი უდარდელა ჭრიჭინი.

მარომ ორჯელ, სამჯერ, ძილის გასაფთხობათ, ნუში წაიღო
პირისაკენ, მაგრამ სალომეს მკერცხლმა თვალებმა სწრაფად შე-
ნიშნა და პირში ჩადგება არ დააცალა: ჰა, ჰა, არამზადავ, არ გაბე-
დო, გთარებ, ხომ მიცნობ.

გავიდა კარგა ხანი, ოთახში სრული სიჩუმე იყო, მაროს უცებ წასთელიმა, სკიურილან გადმოვარდა და გარჩეული ნუშით საესე ლანგარს დაეცა. ამის დანახვაზე სალომემ, არც აცივა და არც აცხელა, და ალულული თაფლიანი ქაფქირი თავში ჩაჰკრა საცოდავ გოგოს, ამან საშინლად შეჰბლავლა და სიმწარისგან გული წაუკიდა-

თაფლო ელვასავით ფეხზე წამოხტა, ამ გვარი უსამართლობით თმები ყალყზე შეუდგა და სისწრაფით გაექანა მაროსკენ, დაავლო ხელი და კარებთან მდგომ სალომეს უცაბედად დაეჯახა, კარი ყურამდე გაიღო და სალომე კარებს იქით, ქვის კიბეზედ გადავარდა.

თაფლომ საშინლად შეჰკიელა, გულზედ მაგრა მიიკრა გულ-წასული მარო, გიჟივით თვალები დააჭყიტა და უძრავად ერთ ალაგს გაშეშლა.

პატარა ხანს უკან სალომე ამოიტანეს თავ-პირ დამსხერეული.


თაფლომ გონზე მოსული მარო ძირს დასვა და მდუღარე ცრე-მლებით ხელებზე კოცნა დაუწყო ბებიას. იმან გაიღიმა და ნიშნად ჰატიუებისა თავზედ ხელი გადაუსვა.

ეკ. გაბაშვილი.



სარანთველო
პარლაზენთი
ეროვნული
გიგანტები

დასრულებულობები
მომართებული
გიგანტები



ობობი და დედა მისი



ბოლი შმობელს ჰყითხავდა:
 «ძითხარი, ჩემო დედიო!
 ჩვენ მარტო რომ დავრჩენილებოთ,
 რად გაგვწერომა ბედიო?»


ტოლსა და ამხანაგებში
აქამდე ვინც მინახავსო,
გხედავ, ოომ გარდა დედისა
სუეველს მამაცა ჰევსო?»

—
დედამ აკოცა და უთხრა:
«შვილო, შენც გვავდა მამაო,
მაგრამ უწეალო სიკვდილმა
უდროვოდ მოიჭამაო.

—
წეალდიდობაზე მდინარეს
მიადგა გასასვლელადო,
ფონძა უძტეუნა, წაიქცა,
დააღრჩო იქვე სელათო.

— სიდი არ ჰქონდა იმ წეალსო?
— კი, შვილო, ოოგორ არაო!
მაგრამ შინ ეჩქარებოდა,
შორის აფარ მოიარაო!

— აქამდი სომ მოაღწევდა,
რომ ევლო ნელა-ნელაო?
— მაგდენი ვეღარ იფიქრა,
დღუც იმან დაუბნელაო!



ჩ ვ ე ნ ი მ ვ ე ლ ი გ მ ი რ ე ბ ი



არნაოზმა მოუთხრა დედას თავის ნადირობის ამბავი და ისიცა, ქვაბში რომ სიმდიდრე ჰნახა. ბატონის სძალმა იყრძნო, რომ შეიღს ამ სიმდიდრის წყალობით დიდებული ბედი მოელოდა და, როგორც სხევევა გამოცდილს დედა-კაცს, ისეთი რჩევაც მისცა: „შეიღო ეგ სიმდიდრე სულ და-მით უნდა გადმოვაზიდვინოთ ჩვენს ერთგულს სეფას და სამეუფო ხაროებში დავფლათო“.

— რაკი ეკრეა, მაშ, დედილო, ეს სიზმარიც ამიხსენი, რომელიც კლდე-კარის გამოქვაბულში მეზმანა: ნადირობისაგან დაღალულსა კლდის ფილაქანზე ცეცხლა-პირს ტკბილათ ჩამეძინა. ვითომც ერთს ბნელს ოთახში ვიყავი. არსათ გამოსეღის ღონე არ მქონდა. ვიყავ ამ ბნელს საპყრობილებში ჩასმული და ძლიერ ვსწუხდი. ამ დროს გაკეთდა სარკმელი და იქიდან მზის შუქი შემომენათა. ეს შუქი შემომერტყა გარშემო და გარეთ მინდორზე გამიტაცა. აქ ჩემ ფეხწინ თეოთ ნათელი მზე დაეცა, ცვარ-შემოსილი. მე მოესწიმინდე მზეს ეს ცვარი და მითი პირი დავიბანე.

— შეიღო, ეგ სიზმარი მოასწავებს შენს მეფედ გახდომას და საქართველოს განთავისუფლებას შენი ხელით მტარვალის აზოსაგან.

ამ საქმეში შენგან ნაპოვნი სიმღიდრე ძლიერ დაგეხმარება. დროს ნულარ ვკარგავთ, სიმღიდრე გადმოზიდონ ღამითა.

— კარგი, დედილო, — უთხრა ფარნაოზმა ბატონის სძალს. მაში მე ახლავე კაცს ვაფრენ მამის ჩემის მეგობართან, ქუჯთან, რომელიც არის ეგრისის (სამეგრელოს) მთავარი, შევატყობინებ ყოველსავე ჩვენს განზრახეას; შენ კი ასპანის (ისპანის) მთავარს, შენს ძმას, მისწერე წიგნი, რომ ჯარი შევვიმზადოს.

ამ სახით დედამ და შვილმა დაიწყეს შზადება. ამ დროს მეტად შეწუხებული იყო მთელი საქართველოს ერთ აზო მტარევალისავან. მეორეს მხრით ეგრისიც, ლიხის (სურამის) მთას იქითი ქვეყანა შავზღვამდე, საბერძნების მეფეს ეჭირა და ძლიერ ავიწროებდა დასავლეთის საქართველოს ხარჯისა და მრავალნაირის ბეგრის კრეფითა. ისინიც ელოდენ, მარჯვე დრო ეშოვნათ, რომ ბერძნებს განდგომოდენ და დანარჩენს საქართველოს ერს შეერთებოდენ. ეგრისის მთავარს ქუჯს რომ ფარნაოზის წერილი მიუვიდა, მეტად განიხარა და ასე მოსწერა: „ეგ სიმღიდრე, რომელიც შენ გინახავს, საკმაო იქნება ჯარების დასამზადებლათ. რომ აზო მტარევალმა არ გიგრძნოს, სჯობს, ჩემთან მოხვიდე და ეგ სიმღიდრე თან გადმოიტანო; აქ დავემზადოთ, მოვიწვიოთ აგრეთვე ოსის ჯარი და ლეკისა.

ამ ამბავს შემდეგ ფარნაოზი გაემზადა თავის სიმღიდრით ქუჯთან წასასელელათ, დედა კი ასპანს გაეყზავნა მის ძმასთან, რომ იქიდანაც ჯარი მოეშველებინა.

აზო იყო მეტად ფიცხი კაცი, ასე რომ თვით მისი ჯარიც არ ემადლიერებოდა, რომელიც ალექსანდრე მაკელონელს მისთვის დატოვებინა სამოსამსახუროდ. თუმცა ეს ჯარი ბერძნულს წესზე იყო გამოწყობილი, მაგრამ ბერძნები კი არ იყვენ. ისინი უფრო მდინარის ეფრატის მხრის სომხებიდან იყვენ შემდგარნი. ისინიც დროს უცდიდენ, რაღვან ფარნაოზის სახელი, როგორც კარგი გულისა და ყველასგან საყვარლის კაცისა, იმათშორისისაც განთქმული იყო.

ცოტას ხანს შემდეგ აზოს მოესმა ამბავი, რომ ქუჯსა და ფარნაოზის დედას სპარსეთიდან მოჰყავთ ჯარები ქართლის მოსაშველებლადო.

ოსეთიდან და ლეკეთიდანაც ამათი მომხრენი მოდიანო, რადგან ოსებიც და ლეკებიც შეწუხებული ჰყავდა აზოსა მომეტებული ხარჯის გამორთმევითა.

აზომ საჩქაროდ მოუწოდა ბერძნულს წესზე გაწყობილს თავის ფროტათელს ჯარსა, ის კი არ იყოდა, რომ პირველს შეტაკებასთანავე ათასი რჩეული ცხენოსანი მისის ჯარისა ემზადებოდა აზოს ღალატსა და ფარნაოზის მიმხრობასას.

გადმოვიდენ თუ არა ლიხს (სურამს) აქეთ ფარნაოზისა და ქუჯის ჯარები, მაშინვე ის ათასი რჩეული ცხენოსანი აზოს ჯარისა ფარნაოზიანებს შეუერთდენ. ამასთანავე მთელი ქართლის ერიც ადგა აზოს წინააღმდეგ. მეტი რა ღონე იყო, რაკი აზომ თავის ჯარის ნაწილსაც შეამჩნია ღალატი, დანარჩენსაც ვეღარ მიენდო, ღაგდო მცხეთა და გამაგრდა კლარჯეთის ციხეებში, რომელნიც მდებარებდენ საბერძნეთის სამფლობელოს საზღვრებზე მდინარის ჭოროხის სათავეში. იმას უნდოდა, საბერძნეთის ხელმწიფის შემწეობით ზურგი გაემაგრებინა. ფარნაოზი და ქუჯი შევიდენ დედა ქალაქს მცხეთას და დაიჭირეს ოთხი ძველი ციხე ქალაქისა. ამ ოთხ ციხეთაგანი ერთი იყო არმაზის მთაზე აგებული, იქ, საცა ახლა ჯვარის ეკკლესია არის, არაგვს გაღმა. ეს იყო დიდი მთავარი ციხე. მეორე იყო ამ მთის ცხვირის ბოლოზე, სადაც არაგვი მტკვარს ერთვის, მესამე მცხეთის მთას ზემოდ მტკვრის მარჯვნით, მეოთხე მტკვრის პირად დასავლეთისკენ. ამას შემდეგ ფარნაოზმა გაგზავნა ასურეთის ხელმწიფეს ანტიოქოსთან მოციქულები და სოხოვა შემწეობა საბერძნეთის წინააღმდეგ. ანტიოქოსმა გამოუგზავნა ფარნაოზს მეფის გვირგვინი და უბრძანა სომხითის ერისთვებს, ფარნაოზს მისურნ ხოლმე შემწეობა ჯარებით, როცა დასჭირდებოდა. ამ სახით ფარნაოზი გახდა პირველი მეფე საქართველოსი.

მეორე წელიწადს აზოს მოუვიდა საბერძნეთიდან ჯარები და წამოვიდა ფარნაოზზე საბრძოლად. ფარნაოზს დახმარა ქუჯი მთელი იმერთ-სამეგრელოს ჯარებითა. სომხითის ერისთვებიც წამოვიდენ მასთან თავის ჯარებით, ანტიოქოს მეფის ბძანებით; ლეკი,

ოსი და ხაზარიც ფარნაოზს მიეშველენ. მეფე ქართლის ჯარით და თავის მოკავშირებით გაემართა აზოსკენ და მიუხდა არტანის ნაქალაქეებს, რომელსაც მაშინ ქაჯეთის ქალაქს ეძახდენ, უფრო ძველათ კი ჰური ეწოდებოდა.

ფარნაოზმა სძლია ბერძნის ჯარი, მოკელა აზო და მთელი მისი სიმძიღე ხელში ჩაიგდო. მერე შეესია თვით საბერძნეთის ქვეყანას და დაიპურო ანძაძორი, ახლანდელი ერზიგიანგი, აზრუმის სამხრეთით რომ მდებარებს; ამასთანავე გაათავისუფლა საბერძნეთის ხელიდამ მთელი დასავლეთი; საქართველო: იმერეთი, გურია, სამეგრელო მდინარე ენგურამდის, რომელსაც მაშინ ეძახდენ ეგრისის წყალსა. აქ ერისთავად დასეა თავის მეგობარი და მოკავშირე ქუჯი. მისი საზღვარი იყო აღმოსავლეთით და სამხრით მდინარე რიონი. დანარჩენი საქართველო ჩვა საერისთაოდ გაჰყო, ევრისს გარდა. იმიანად კი ცხრა საერისთავო იყო.

მეორე ერისთავი დასეა მარგვისს (არგვეთს) და მისცა გასამგებოდ ლიხის მთას იქით არგვეთის ქვეყანა, რაჭა, ლომისიათ ხევი (ესე იგი შორაპნის მაზრა) და გურია მდინარე რიონამდის. ფარნაოზმა აუშენა მას შორაპნის ციხე და დიმნა (ახლა აქ დიმის სოფელია, ბალდადის მახლობლათ).

მესამე გაგზავნა არაგვზე და მისცა არაგვიდან მოკიდებული ქვეყანა კახეთამდე, (რომელსაც მაშინ ერქვა ჰერეთი). ამ საერისთვოს საზღვარი სამხრეთით იყო მდ. მტკვარი და ჩრდილოეთით კავკასიის მთა.

მეოთხე გაგზავნება სამშეილდეს. ამის საზღვარი იყო აღმოსავლეთით სკვირეთის მდინარე (ახლანდელი ვერის წყალი ტფილისის მახლობლათ), სამხრეთით აბოცის მთა (თრიალეთის მთა). ეს საერისთვოს ქვეყანა იყო მთელი საციციანოსა და საბარათიანოს მამული აღვეთისა და ზემო ხრამის ხეობა, დასავლეთით ტაშირი (ბორჯომის ხეობა) და ჩრდილოეთით მდ. მტკვარი.

მეხუთე გაგზავნა ხუნანის ერისთავათ. ეს ქვეყანა არის ახლანდელი ყაზახ-ბორჩალო და ლიანე, უწინ კი გაჩიანი და გარდაბანი ერქვა.

მექენსე გაგზავნა წუნდას (ახალ ქალაქის მაზრა). ამ საერის-თეოს ქვეყანა იყო ფანატიკის ტბიდან მოკიდებული მტკურის სათა-ვემდის: ჯავახეთი, კოლა, არტაანი (ახლანდელი არდაგანის მაზრა და ჩილდირის ხეობა).

მეშეიდე გაგზავნა ოძრხის ერისთავად, ტასის კარიდან არსიან ამდე. ეს ქვეყანა შეიცავს ადგილებს ბორჯომის ხეობიდან ახალციხის მაზრა, ზემო აჭარის მთამდის. ამასთან ავე არსიანიდან ზღვამდე — სამცხე და აჭარა (ზემო და ქვემო აჭარა ბათუმიანათ).

მერვე გაგზავნა კლარჯეთის ერისთავად (ჭოროხის ხეობა, ისპირი, ტრაპიზონამდის).

მეცხრე დააღინა ერისთავთ ერისთავად და მისცა ქვეყანა ტფი-ლისიდან მოკიდებული ტასის კარამდის. ეს იყო ყველა ერისთვებზე უფროსი და მთელი სამეფო ჯარიც ამას ებარა. ამის საბძანებლო იყო ტფილისიდან მოკიდებული მტკურის გაყოლება ბორჯომის ხეობამდის: ქნის ხეობა, ფცისა და ალის წყლის ხეობა და ეწოდებოდა შიდა ქართლი.

ჯარის რიგი იყო ასე დაწყობილი: იყვენ დადგენილნი ასის თავნი, ათასის თავნი და ბევრეულნი, ესე იგი, ერთი ბევრის უფროსნი. ერთი ბევრი შეაღვენდა რეათას კაცსა.

ფარნაოზმა ის ათასი რჩეული ცხენოსანი, რომელიც განუდგენ აზოს, გახადა ასისა და ათასის თავებად; მისცა მათ პატარ-პატარა ხეობები და მათ ადგილ-სადგომებში ციხეები და კოშკები დააკეთებინა, რომ ხეობების შესავალი კარები დაეცეათ მტრის წინააღმდეგ. ამ ჯარის კაცებს ეწოდა აზონაურნი, ესე იგი, აზოს ხლებულნი. თითოეულს მათგანს მიუშაკნა მუშაკნი, გლეხნი, სასამსახუროდ.

გ. წერეთელი.

(შემდეგი იქნება)



სალსური ლექსი

სალსური ლექსი


(ი. სიდამონ-ერისთავის წარმოდგენილი)

სიმღერა მეგენახისა.

ენაზი კარგათ მოერთევი წმინდათ დათლილი სარითა,
 თოხნითაც კარგათ დაეთოხნე, წმინდათ დაებარე ბარითა,
 დაისხა მრავალ მტევანი, ცისკენ ასწია რქანია;
 გუნებით აგრე ვაშბობდი: ამოეალ ჩემი ვალითა.
 დავალ და ვხარობ ვენახშა, არხეინად მაქვს გულია,
 ცა მოწმენდილა, კაშ-კაშა, მათათვის სიცხის გულია.
 მთისკენ გამოაჩნდა ღრუბელი—ცას მოეფინა ბურია.
 იმ ღროს იყო ესე საქმე, შუა დღე იყო სრულია:
 შავად დაბურა ღრუბლებმა, თან მოჰყვა ნიავ-ჭარია,
 იქუხა ერთი საშიშრად; გულს მეცა, როგორც ხმალია.
 სეტყვა დაუშვა სხეილ-სხეილი, თაეს დამაქცია ბანია.
 მოვარდა სეტყვისა წყალი, შემომიგარდა ღვარია.
 ქვეყანა დაწიოკა, საყდარს დალეწა ზარია.
 დავიჩოქე და ვევედრე, ავანთე კელაპტარია.
 დამიწიოკა ცოლ-შეილი, ღმერთმა როდი შემიბრალა,
 ყუჩენი გააყრენია, თან გააყოლა რქანია,
 ქვევრებს უქადდი სხვილ სხვილსა, არ მომიერდა ცვარია;
 გუნებაშია ვფიქრობდი: გაესისინებ ნაესაო,
 დახედე ცოდვის კითხვასა—ღვინო არა მაქვს მსხლაესაო!



თილის მა მტრედის გული



(ეკ. ასათიანის გაგონილი)

ყო და არა იყო რა, იყო ერთი გლეხი, ჰყავდა სამი ეაჟი. მოკვდა გლეხი და დარჩა აუარებელი ვალი. ეაჟები რომ წამოიზარდენ, ვალში მოჯამავირედ დარიგდენ. ასე იმსახურეს, ვიდრე ჭვაში ჩაცეიდებოდენ. ბოლოს გარდასწყვიტეს: ასე ცხოვრება არ შეიძლებაო, წავიდეთ სხვა ქეყანაში, ვიშოვოთ ფული, ვალიც მოვიშოროთ და ჩვენც ადამიანურათ ეიცხოვოთო, სთქვეს და კიდეც შეასრულეს.

ბევრი იარეს, ცოტა იარეს, მიადგენ ერთ ჯვარედინ გზასა. ერთ ქვაზედ დასხდენ, კარგა ხანს ილაპარაკეს, მერეთ მოეხვიენ ერთმანეთსა და გაუდგენ თავიანთ გზასა. უმტროსი ძმა მალე დაიღალა და ერთ პანტას ქვეშ დაჯდა დასასვენებლად. უცებ საიდგანლაც მოესმა ხმა, „შენი ვიყო, აი, იმ მტრედს მოვკლავდი, გულს ამოვაცლიდი და უმს გადავყლაპავდიო..“ ყმაწვილმა მიიხედ-მოიხედა და ერთ კუნლის ბუქებედ დაინახა თეთრი ბამბა ქულასავით მტრედი, დაუმიზნა შეილდ-ისარი, მოჰკლა მტრედი, ამოულო გული და უმი გადაყლაპა. იმისი შეჭმა და ყმაწვილის დაძინება ერთი იყო. მზე შების ტარზედ იყო წამოსული, რომ გამოიღეიძა. კარგად მოშიენოდა — მოხსნა გუდას პირი, უნდა მჭადი ამოელო, მაგრამ გუდიდგან თეთრ რძე-სავით აბაზები გადმოცვიედა. გაუხარდა ყმაწვილსა და სთქვა, ახლა კი ღმერთმა ინება ჩემი გამდიდრებაო, შესწირა ღმერთს მადლი და გაუდგა გზასა. ბინდისას მიაღა ერთი მოხუცებულის სახლსა, მივი-და დერეფანში, სადაც ბებერი იჯდა და მატყლს სჩეჩდა. შეეხეწა:

დედი, ერთი ლუკმა პური მაჭამელ! — ბებერმა უთხრა, ვინ მომცა,
 შეილო, პური, მეც შიშილით სული მხდებაო?! მაშინ ყმაწეილმა
 ერთი პეშეი თეორი აბაზები მისცა. ბებერმა ერთ თვალის დახამხა-
 მებაზედ გაუჩენელი გააჩინა სუფრაზედ. ყმაწეილმა რომ სული მოიბ-
 რუნა, ჰეთხა, დედი, დედაშეილობას, მიანბე რა ამბავია ამ თქვენი,
 ხემწიფის საბძანებელშიო? — რაღა რა ამბავია, შეილო, ქვათა და ლო-
 დათამცა ქცეულა ჩვენი ხემწიფის ქალი, ლამის არის ქონებიდგან
 გააყენოს მთელი დუნის ახალ-გაზდები!.. ის თილისმა თითო დანა-
 ხეაში ოც თუმანს იღებსო..” გაეხარდა ყმაწეილსა და სთქვა: მაშ შეც
 ხომ ენახავო. მოხუცმა ბევრი უშალა, მაგრამ ყმაწეილმა არ დაიშა-
 ლა. აიკიდა გულა და გაულგა გზასა. ხემწიფის სახლთან რომ მივი-
 და, გულა ამოიდო თავით და მიეძინა. ხემწიფის მსახურთ ეს არა-
 ფრად ეჭაშნიკათ და წინამდებრი კურით გააღვიძეს. ვაჟმა ხემწიფის კა-
 რის კაცს თავისი სურეილი გამოიუჩადა. კარის კაცმა ჩაითვალა
 ოცი თუმანი, ახალა ფარდა და გამოიხედა იმისთანა მშვენიერმა ქა-
 ლმა, რომ ვაჟმა თვალი ვეღარ მოაშორა. ვაჟი აძლევდა ოც-ოც
 თუმანს და ქალს თვალს არ აშორებდა. დაილალა და შესწუხდა ქა-
 ლი. დაიბარა თავისი მამა და უთხრა, შეეტყო, თუ ვინ იყო ის ტყა-
 პუჭმი გახვეული ბიჭი და ან ვინ მისცა იმდენი ფულიო. ყმაწეილი
 გაბედეთი წარსდგა წინ და მოახსენა ხემწიფებს: „შემირთოს თქვენმა
 ქალმა და გეტყვი ჩემ ენაობასაო.“ ქალმა დაიბარა ვაჟი, დასხდენ
 ჭამად: ქალმა მოილხინა და ვაჟიც მოალხინა. ქალი ასმევდა ბანგ-
 ნარევ ღვინოს. ვაჟი მალე დათვრა. ქალმა ოქროს ქსოვილ ხალი-
 ჩაზედ დაწვინა. ვაჟმა ძილში წამოახეელა და ამოაყოლა მტრედის
 გული. მტრედის გულმა დაიწყო ღულუნი: „ნეტა, რა დაგიშავე, ჩემი
 მშვენიერო პატრონო, რომ ქაჯისა და ჭიის კანჭის ხელში ჩამაგდეო?“
 ქალმა დასტაცა მტრედის გულს ხელი და სწრაფად გადაყლაპა. ვაჟი
 კი კარის კაცებს ფრიალო კლდეში ჩაგდებინა.

სამი დღე და სამი ღამე ვაჟი ევდო კლდეში უკრებელად. მე-
 რეთ გამოილება, მიიხედ-მოიხედა და ორი ვაშლის ხე დაინახა და
 . სთქვა თავის გულში, ახ, ნეტავი შემეძლოს ფეხზედ წამოდგომა, აი,

იმ ვაშლებით ხომ სულს მოვიბრუნებდიო. მერე გაცოცდა, აიღო ძირს ჩამოვარდნილი წითელი ვაშლი, გაყიჩია, მაგრამ, ვაი, იმ გაკ-ბეჩას!... უშველებელი რქები გამოისხა. შესწუხდა, საბრალო, დაე-კარგა იმედი იმ კლდიდგან ამოსვლისა, მაგრამ ცოტა კიდევ გაცო-ცდა, აიღო თეთრი ვაშლი და გაყიჩია, უცებ რქები ჩამოსცეიდა. „ეს კარგია, იფიქრა ყმაწვილმა, ახლა კი ამოვიყრი იმ ქალის ჯა-გრსაო. რქები კიბესავით მიიღო, ჯერ წითელ ვაშლით, გაიცხო ჯი-ბე, მერე თეთრი ვაშლით და ამოვიდა კლდიდგან. იქვე ტყის პირში დაწნა კალათა, ჩააწყო შიგ წითელი ვაშლები და დადგა იმ ეკლესი-ის კარებთან, სადაც ქალი ყოველ დღე დაიარებოდა, გამოვიდა თუ არა წირვა, ბიჭმა კალათა ზევით ასწია, რომ ქალს კარგათ დაენა-სა. ქალმა თვალი მოჰკრა თუ არა წითელ ვაშლებს, ძრიელ მოე-წონა, გადაუვდო ბიჭს ერთი ოქრო და ჩამოართო ვაშლებით საესე კალათა. ქალმა ოთახის კარებთან გაყიჩია ვაშლი, გამოება ორი იმო-დენი რქა, რომ ჭერს ებჯინებოდა. შესწუხდა ქალი და დაიწყო ტი-რილი. დაუძახა ხემწიფე თავის ნაზირ-ვეზირთ და შესჩივლა თავისი ქალის უბედურება. მოიწვიეს ექიმები, მაგრამ ვერაფერი უშველეს. ვაჟს შეეცოდა ქალი, შევიდა ხემწიფესთან და მოახსენა; თქვენ ქალს ჩემს მეტი ვერავინ მოარჩენსო. მე მოვარჩენ მხოლოდ კი მარტო უნდა დაგვტოვოთო.“ დარჩენ ქალი და ვაჟი მარტოდ. ვაჟმა უთ-ხრა, ვერ მიცნობ, ვინა ვარო? ქალს ფერი ეცვალა: „მომე ჩემი მტრედის გული და მოგარჩენო, უთხრა ვაჟმა. ქალმა წამოახველა, ამოვარდა მტრედის გული და ვაჟს თავისთავათ პირში ჩაუვარდა. მა-შინ ვაჟმა ქალს შეაჭამა თეთრი ვაშლი. ქალს დასცეიდა რქები.

ქალმა უთხრა ვაჟსა: რაკი შენ მაგისთანა სიკეთე მიყავი, ახლა კი შეგირთამო. ვაჟს ძლიერ გაეხარდა. შეიყვანა კიდევაც თავისთან, ბანგნარევი ღვინო დაალევინა. ვაჟი კიდევ უარესათ დაითერა. მა-შინ ქალმა უბძანა, წაიყვათ ისევ იმ კლდეში ჩააგდეთ, ვნახოთ ახლაც ამოვაო!. მსახურო შეასრულეს ქალის ბრძნება. ვაჟმა რომ გამოილვიძა, მოიფშენიტა თვალები, გაწვა გულ-დაღმა და შეიხედა ზევით. ჰქედავს, რომ ერთ საშინელ მთის წვეროზედ სამ დევს გაძრი-

ელებული ჩხუბი აქვსთ. ერთი მათგანი წაიქა, ძირს დაეცა კლდის პირას, ჩაიხედა კლდეში და დაინახა იქ მწოლიარე ვაჟი. ეს დევი მაშინათვე წამოხტა ფეხზედ, გაექანა ძმებისკენ და უთხრა არიქა, ძმებო, რაზედ ვხოცავთ ერთმანეთს, ჩავიდეთ ქვესკნელთ, იქ ერთი კაცი წევსო, თუ მოგვარივებს ის, თუ არა და დავიღუპენითო.„

ჩავიდენ დევები ვაჟთან და უთხრეს: ასე და ასეა ჩვენი საქმე, ლამის, აი, ამ უჩინ-მაჩინი ქუდისთვის ხალიჩასთვის და სუფრასთვის ერთმანეთი ამოეხოცოთო. „ყმაწვილი ცოტათი დაფიქრდა და უთხრა. თუ თქვენ უჩხუბრათ გინდათ გაიყოთ მცირედი რამ, წალით ისევ იმ მთის წვეროზედ, ერთად დადექიდ, ვინც იქიდგან პირველად მოვა ჩემთან, იმას ხალიჩას მივცემ, ვინც მერე, იმას სუფრას მივცემ და ვინც ბოლოს, იმას კიდევ ქუდსაო.“ დევებს მოეწონათ ყმაწვილის რჩევა და შეუდგენ იმის შესრულებას. მხოლოდ ყმაწვილი რომ მარტო დარჩია, უბძანა ხალიჩასა:

ხალიჩავ, ხალიჩავ, შენსა მზესა!
შენი მომქსოვისა მზესა,
ამსეი, დამსეი და ჩემ დედობილის
სახლში დამსეიო..

ვაჟის სიტყვებზედ დაინძრა და რა დაინძრა ხალიჩა, რომ სულ არებარე თან მიკქონდა. მიერთ ვაჟი თავის დედობილთან. ბებერს ასე გაუხარდა ყმაწვილის ნახევა, რომ სულ ცათა ფრინველს მოეკიდა. ბებერმა დაიწყო ცეცხლა პირს ფუს-ფუსი, ვაჟი ეხვეწებოდა: დედი, დაჯე, ჩემთან შენ ნურას სწუხხარო, ახლავ უბრძანებ ჩემ სუფრას და ის ჯარასავით დატრიალდებაო.

ყმაწვილმა აიქნივა სუფრა და უთხრა:

აბა, სუფრავ, შენსა მზესა,
შენი მომქსოვისა მზესა!
გაიშალე და მოგვართვი,
რაც გულსა, სურსა,
და თვალს ენატრებაო.

გადაიშალა სუფრა და მოერთოთ ქანდის კეთილი. სჭამეს, სვეს ორთავე დედა-შეილურაო, მერეთ ვაჟმა ჩაიცეა ტანთ, თავზედ დაისურა უჩინ-მაჩინის ქუდი და ფარულად შევიდა ქალის ოთახში. დაითრია ქალი გრძელი ნაწნავებით, იმდენი ათრია იატაკზედ, იმდენი სცემა, მინემ მე და შენ მიევეშეელებოდით. ქალი ჰყვენესოდა, აქეთ იქით იხედებოდა, უნდოდა ერთი თვალი მაინც მოეკრა თავის მტანჯველისათვის, მაგრამ ვერას გახდა, ბოლოს ღონე გამოლეულმა შესძახა: მითხარი ვინა ხარ? ხორციელი ხარ, თუ ეშმაკიო? ვაჟმა უთხრა: რაც ეშმაკობით წამართვე, ის მომეცი და დაგეხსნებიო.

ქალმა უთხრა: ახლა კი მე ცოლი და შენ ქმარიო. შერივ-დენ. ვაჟმა გულ-ახსნით უამბო ყოველივე, უთხრა აგრეთვე დევებს, რომ ნივთები დასტუუა. ქალს გაეხარდა და უთხრა ვაჟსა: აბა, თუ მართლა შენ ხალიჩას შეუძლიან რამე, უბრძანე მოგვატაროს მამი-ჩემის სახემწიფოეო. ვაჟმა გაშალა ხალიჩა, დასვა ქალი ზედა, თითონ მოუჯდა გვერდით და თავმომწონეთ უბრძანა ხალიჩასა:

ხალიჩავ, ხალიჩავ, შენსა მზესა!
 შენი მომქსოვისა მზესა,
 მოგვატარე მრთელი სახემწიფო
 და ბოლოს ზღვის პირას შეგვსვენეო.

გასრიალდა ხალიჩა ნიავსავით, მოატარა ჩვენი ქალ-ვაჟი მთა, ტყე, კლდე ბოლოს ზღვის ნაპირას დაეცა. ვაჟს ქალის კალთაში და-სძინებოდა. ქალსაც ეს უნდოდა, ჰკრა ხელი და ზღვაში ჩააგდო, თი-თონ ხალიჩას უბრძანა: „აბა, ხალიჩავ, ამსეი, დამსვი და მამიჩემის სახლში დამსეიო.“ ხალიჩაც გასრიალდა თავისებურად და ქალი ერთ თვალის დახამხამებაზედ მიიყვანა თავის მამის სახლში.

ვაჟი ზღვამ ნაპირას გამორიყა. ვაჟი დაღონდა და დაძმარდა, დახე, იმ ქაჯმა კიდევ მომატყუაო! ნალვლიანათ სოქვა ვაჟმა და აი-ხედა. დაინახა ქვაზედ მჯდომიარე თეთრ წვერა მოხუცი. ვაჟმა ჰკი-თხა, ბერო კაცო, ვინა ხარო? — მე ქრისტე ღმერთი ვარ და შენ სა-შველად მოველიო. — „აბა, თუ მართლა ქრისტე ხარ, მითხარი ახლა,

თილისმა მტრედის კულტ

31


ემ თავს რითი უნდა უშეველოვო? — ბერმა კაცმა თითი მიუშეირა ორ ალვის ხეზედ: „ჰელავ, უთხრა, აი, იმ ალვის ხეებს?. ისინი ყოველ დილა შტოებით ერთმანეთს ეკონებიან, ასე ჩახვეულები არიან მზის ამოსელამდე, მზე ყურს ამოპყოფს თუ არა, ისინიც დაჲშორდებიან ერთმანეთს. შენ იდროვე და იმ ღროს მოსტეხე ერთი შტო, ვინემ დაშორდებიან. ის შტო ამოგიყრის იმ ბოროტი ქალის ჯაერსაო.“ ყმაწეილმა მადლი გადუხადა ბერი-კაცსა და მეორე დღეს სწორეთ ისე მოიქცა, როგორც ბერმა კაცმა ასწავლა.

მოპარული ალვის ხის შტო წამოიღო ყმაწეილმა და ეკულესიის კარებთან დადგა. გამოვიდა წირეა და ხემწიფის ქალი სულ ყველაზედ წინ გამოვიდა. ვაჟმა დაჲკრა ქალს თავში წკეპლა და ქალი ვირათ იქცა. ვაჟმა იყიდა კოკები, აჲკიდა ვირს და ამ ცისამარა დღე სულ წყალს აზიდვინებდა. ერთ სოფელში რომ საქმე გამოელევოდა ამ ქალს, ბიჭი მეორე სოფელში წაიყვანდა და იქ აგურს აზიდვინებდა. ასე ტარების ღროს ენახოთ: ერთ სოფელში აეშვათ მარყუში ხემწიფის ასარჩევად. ეს მარყუში სამჯერ აუშვეს და სამჯერ ერთ ტყაპუჭმი გამოხვეულ კაცს დააჯდა. ხალხს არ უნდოდა ის კაცი ხელმწიფეთა, ამიტომ შეიყვანეს გომში, დამალეს და კიდევ აუშვეს. მარყუში ბანიდგან ჩაფრინდა და ისევ იმ კაცს დააფრინდა მხარზედ. მაშინ ხალხმა ერთ ხმით დაიძახა: ალბათ ლვთის ნებააო! და აირჩიეს ის კაცი.

ახლად არჩეულმა ხემწიფემ თავის კარის წინ დიდი ზარი ჩამოკიდა და გასცა ბრძანება: „ვისაც ჩემთან საჩივარი ჰქონდეს, ზარი სამჯერ ჩამოჲკრას და მე გამოვალ საქმის გასარჩევათო.“ ამ ამბავს მოჲკრა ყური ვირმაც და ერთხელ, როდესაც დაღალულმა ბიჭმა კაკალს ქვეშ დაიძინა, ვირი მივიდა, პირით გამოსწივა თოვი და სამჯერ ერთმანეთზედ დარეკა. ვამობრძანდა ხემწიფე. ვირმა თავი დაუკრა, მაგრამ ლაპარაკი კი ვერ შეიძლო, მაშინ ხემწიფემ უბძანა მსახურთ: „ახლავ მოათრიეთ ამ ვირის პატრონიო!“ მოიყვანეს ბიჭი. ხემწიფემ თავისი ძმა მაშინვე იცნა, შეიყვანა თავის სახლში. ძმები გადაეხვიენ ერთმანეთს. ვაჟმა ყოველისფერი უამბო თავის ძმასა. ხემწიფე შეეხვეწა

თავის ძმასა, რომ ქალისათვის ეპატიებინა დანაშაული. ვაჟმა დაჰკრა ვირს ალვის ხის წკეპლა და იმისთანა მშვენიერ ქალათ აქცია, რომ მნახავები თვალს არ აშორებდენ. ხემწიფებ დააქორწილა თავისი ძმა, დაულოცა ხემწიფობა, თითონ ეეზირად დადგა. ხემწიფებ გადმოიყვანა თავისი მოხუცებული დელობილი თავისთან და ისე აცხოვებდა, როგორც თავის დედასა. უფროსი ძმა კი დაიკარგა: ცამ ჩაყლაპა, დედა-მიწამ პირი უყო, ველარა გაიგესრა.

ჭირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, მფექილი აქა.



გეფ წის-ტეატრისანი

ნამდვი

მთაზოდილი ემაწევილებისათვის

ამბავი როსტევან შეფისა

 რაბეთში ერთი მეფე ცხოვრებდა, სახელად როსტევანი. ეს მეფე ჰქონდა, მდიდარი, პურალი, მოწყალე და სამართლიანი კაცი იყო. დიდი საბრძანებლოსა და ლაშქრის პატრონი ბრძანდებოდა. ღმერთს მისთვის ვაჟი არ მიეცა. ერთად-ერთი ქალი ჰყავდა—თინათინ. იგი ისეთი ლამაზი და შვენიერი იყო, არაუადარ გა-გონილა,—სწორედ შეეთ-უნახავს ჰგავდა.

როსტევანი რომ მოხუცდა, ერთხელ იხმო თავისი ვეზირები, დაბრძანდა ტახტზე, ისინიც გვერდით მოისეა, ტკბილათ ემუსაიფა და ბოლოს გამოუცხადა: „ხომ ხედავთ, მოხუცდი და სიკელილი მომია-ხლოედაო. მოდით, ჩემი შვენიერი ასული დაქსვათო მეფედ:

„ლეკვი ლომისა სწორია,
ძუ იყოს, თუნდა ხეადია“.

ამგვარად მეფემა და ვეზირებმა გადასწყვიტეს თინათინის ტახ-ტზედ ასვლა.

მეფე როსტევანს ერთი შეილივით გამოზრდილი ვაჟი ჰყავდა, აეთანდილი, და ისე უყვარდა, როგორც ლეიძლი შეილი. აეთანდი-ლი დიდი კაცის ძე იყო. ისეთი ტანადი, შშვენიერი და ყოჩალი ჭა-ბუკი მთელ არაბეთში არ მოიპოებოდა. არაბეთის ყველა ლაშქრების უფროსობა მას ებარა. აეთანდილს გულში, თურმე, მეფის ქალის

სიყვარული ჩავარდოდა და სულ მის ნახეასა და ცქერას ნატრობდა. ამიტომ თინათინის მეფედ დასმა რომ გაიგო, ძლიერ გაეხარდა. ეხლა ხომ ხშირად ვნახავ და მისი ცქერით დავსტკპებიო, ფიქრობდა.

მეფემ ბრძანება გამოსცა, ჩემი თინათინ ხემწიფედ დაგსვიო, მოლით და მოულოცეთო. მთელი არაბეთის დიდ-კაცობა შეიკრიბა სასახლეში საღარბაზოდ. ყველაფერი რომ მზად იყო, მოხუცებულმა მეფემ გამოიყვანა მზეთ-უნახავი ქალი, დასეა ტახტზე, თავზე გვირგვინი დაადგა, ხელში სკიპტრა მისცა და სამეფო სამოსლით შემოსა. მშვენიერი თინათინი კიდევ უფრო გამშვენიერდა და იქაურობას სხიეთ მოჰყინა. მამამ თაყვანი სცა, გამეფება მიულოცა და დალოცა. შემდეგ სხვებმა სცეს თაყვანი, მიულოცეს, ქება უთხრეს. მილოცა რომ გათავდა, გაისმა საკრავების ხმა და დაიწყო საერთო მიარულება.

თინათინშა კი მოიწყინა, მამის მოხუცება მოაგონდა, გული ამოუჯდა და მშვენიერი თვალები მარგალიტის ცრემლებით აევსო. მამა მიეიდა, ეალერსა და უთხრა: „ნუ სტირი, ჩემო კარგო! დღეს არაბეთი შენია. იყავ მოწყალე და ყველას თავი შეაყვარეო. როგორც მზე ერთ გვარად უნათებს და ათბობს ვარდა და ნაგავსო, შენც ეგრედ გებრალებოდეს დიდი და პატარაო: „რასაცა გასცემ შენიაო, რაც არა, დაკარგულია“.

ჭკვიანშა თინათინშა კრძალვით მოისმინა მამის დარიგება და ყველაფერი გულში დაიმარხა. გაიმართა სასახლეში ლხინი და ქეიფი. ნადიმობის დროს ახალმა მეფემ აღასრულა მამის დარიგება: გააღებინა სალარო და იმოდენი აუარებელი საჩუქრები გასცა, არ წასულა ცარიელი არც კაცი და არც ქალი. ლხინი მთელი დღე არ შეწყვეტილა.

ნადიმობის დროს, როცა ყველანი მხიარულობდენ, როსტევან მეფემ ერთბაშად მოიწყინა და თავი ჩაჰილა. ამ ამბავმა ყველანი გააკვირვა. დაიწყეს ცილობა, ნეტამც რა უმძიმს მეფესო. სუფრის თავში აეთანდილი და უხუცესი ვეზირი სოკრატი ისხდენ. მათ მოინდო-

მეს მეფის გამხიარულება. ადგენ, აიესეს ჭიქები, მიეიღენ, მეფის წინ მუხლი მოიყარეს და ხუმრობით მოახსენეს: „რათ მოგწყენია მეფეო, ალარ გიცინის პირიო? ალბათ მას ნალვლობ, რომ თქვენმა ქალმა დასცალა საჭურჭლე თქვენი ძეირიო. რათ დასვით მეფედ ასული, თავსა რად უგდეთ ჭირიო.“

მეფემ რომ ევ გაიგონა, გაეცინა, გაუკვირდა, სიძუნწე როგორ შემომწამესო. სოკრატსა და აედნდილს უპასუხა: „ძრიელ სტყუის, ვინც სიძუნწეს მაბრალებსო. მე ის მაწუხებს, მოეხუცდი, და არავინ მყავს ისეთი, რომ მას ჩემგან ესწავლოს სამამაცონი ზნენიო; ან მგავდეს შშეილდოსნობაში და ანუ ბურთაობაშიო.“ ავთანდილს გაეცინა და თავი ჩალუნა. მეფემ ჰკითხა: «რას იცინიო.?”

ავთანდილმა მოახსენა, ჯერ ჰირობა მიბოძე, არ გამიწყრე და მაშინ გეტყვიო. მეფემ თინათინის მხე დაიფიცა. ვაჟმა უთხრა: „სანაძლეო დაესდოთ, ჯარები მოწმად დაეისწროთ, გაეიდეთ მოედან-ზე და, აბა, ესცადოთ, ვინ ვაჯობებთო.“ მეფეს იამა და სიცილით უთხრა, არ შევარჩენ ტრაბახსაო. ხეალვე წავალ სანაძიროთ და იქ გნახავ, რაც შეილი ხარო. ავთანდილი დამორჩილდა და ერთი სანაძლეო დასდევს: „ვინც უარესი იყოს, იმან სამი დღე თავ-შიშველი იაროსო“.

მეფე კვლავ გამხიარულდა. დაიწყეს ხუმრობა, თამაშობა და სიმღერა. ნადიმი რო გათავდა, მეფემ მონადირეთ უბრძანა, მინდორი მოიარეთო, ნადირი მიიკვლიეთ და გარს შემოერტყითო.

დილით ავთანდილ სასახლეში ადრე მოვიდა. ძეირფას ცენზე იჯდა და შეენიერად იყო გამოწყობილი. მეფე ხუმრობით სანაძიროთ გამოიწვია. მეფეც გამობრძანდა, შეჯდა ბედაურზე და წავიდენ დიდი ამალით. მეფემ ბრძანა, თორმეტი კაცი ჩვენ გვეახლოს, შეილდ-ისარი მოგვართვან, ნასროლი დასთვალონ და ნაკრავიც შეადარონ. გაიმართა ნადირობა. ნადირი უთვალავი მოაწყდა. მეფემა და ავთანდილმა მთელი მინდორი ნადირის სისხლით შეღებეს.

შეშინებული ნადირი წინ გაირკეს და წყლის ნაპირას მიაღწიეს. წყალს იქით კლდე იყო და ნადირი მას შეეფარა. ნადირო-

ბა რომ გათავდა, მეფე და აეთანდილი წყლის პირას ჩამოხდენ და-სასვენებლად. მხლებლებიც იქ მოგროვდენ. მეფემ ბრძანა, მართა-ლი სთქვით, არ გაბედოთ მორიცებაო. მათ მოახსენეს მეფესა, აეთა-ნდილმა გაჯობაო: ორივემ ორი ათასი დახოცეთ, მაგრამ მან ოცით მეტი მოკლაო და არცერთჯერ არ დაუცილებიაო. მეფეს ძლიერ გაეხარდა, იამა თავის გაზრდილის ჯობნება. მერე დაიწყეს ხუმრობა ტკბილი სიტყვა და ლალობა.

ვეფხის ტყაოსნის ნახვა

როსტევან მეფე და აეთანდილ რომ წყლის პირად ისხდენ, სა-კიორველი რამ ნახეს. წყლის პირად ერთი შეენიერი ვაჟ-კაცი იჯდა და მწარეთ სტიროდა. გარედამ მას ვეფხვის ტყავი ეცეა და ასეთი-ვე ქუდი ეხურა. ხელში მკლავის უმსხოსი მათრახი ეჭირა და გვერ-დით შავი ტაიჭი (ცხენი) უდგა. მეფეს გაუკეირდა და ამბავის შეტყობა ისურვა. ერთი მონა გაგზავნა და უბრძანა, აქ მიხმეო. მონა მივიდა და მოახსენა: მეფე გიბრძანებსო. მაგრამ ვეფხის-ტყაოსანი ისე იყო შე-პყრობილი თავისი დარღით და ნაღვლით, რომ სხვა ალარა ესმო-და-რა ქვეყანაზე. მეფის მოციქულს ხმაც არ გასცა. მონა დაბრუნ-და და პასუხი არა მოიტანა-რა. მეფემ იწყინა, თორმეტი კაცი გა-გზავნა და უბრძანა, აქ მომგვარეოო. ვეფხის-ტყაოსანს რომ აბჯრის ჩხრიალი შეესმა, შეკრთა, თავი მაღლა აიღო, ცრემლები მოიწინ-და, მოახტა თავის რაშ და გასწია. მეფის კაცებმა შეპყრობა დაუ-პირეს, მაგრამ საწყლები ერთიანად დახოცა. ვისაც-კი მათრახი გა-დაჰკრა, მკერდამდის გააპო. მეფე გაგულისდა და მდევარი მიაშველა. ვინც დაეწია ვეფხის-ტყაოსანს, წუთი-სოფელს გამოასალმა. მაშინ მეფე და აეთანდილი შეჯდენ ცხენებზე და თვითონ დაედევნენ. ვე-ფხის-ტყაოსანმა შემოჰკრა ცხენს მათრახი და ისეთი გაჭენა, რომ მალე მიიფარა. ვერავინ მიხვდა, ქვესკელში, ჩაძერა, თუ ზეცას

ვეფუძნების ტემატიკური გენერაციები

აფრინდა. ბევრი ეძებეს და კვლავაც-კი ვერსად იპოვეს. ლაშქარმა მცველები დაიტირა და დაკოდილებს უპატრონა. მეფე საშინლად დაღონდა. დაანება ყველაფერს თავი და შინ დაბრუნდა. აქ საწოლში შებრძანდა სევდიანი და არაეის არ იყარებდა აეთანდილს გარდა. სასახლეს, მნიარულების ნაცულად, გლოვის ფერი დაედო.

თინათინმა რა გაიგო მამის ევრეთი შეწუხება, ადგა და სანა-ხავად იახლა. მოლარეს ჰყითხა, რასა იქსო? მან მოახსენა, მეტე ბრძანდება ფერ-მერთალი და წინ უზის აეთანდილიო. ქალი უკანვე დაბრუნდა, არ უნდოდა ვაჭის შეყრა. მეფემ ბრძანა: „ნეტა რასა იქს ჩემი ძეირფასი, ჩემი სიცოცხლე ქალიო?“ მოახსენეს, წელან იყო, გიყითხათ და წაეიდაო. მან მაშინვე იხმო ქალი, გვერდით დაისვა, აყოცა და ყველაფერი უამბო. თინათინმა მამას მოახსენა, ნუ ემდუ-რით ნურც ღმერთს და ნურც ბედსაო. თუ ის კაცი ხორციელი ვი-ნე იყო, მნახეელი გამოსჩნდებაო. მეფე ბრძანდებით არაბთა, გაგ-ზაენეთ კაცი ყოველგან და მოგიტანებენ ამბაესაო. მეფეს ეს აჩევა ჰუსაში დაუჯდა, იხმო მონები მრავალი და გაგზანა იმ ვაჭის საძე-ბნელად. მეფეს მონები წავიდენ და მთელი წელი ეძებეს, მაგრამ არამც თუ თვითონ, მისი მნახეელიც ვერცინ იპოვეს. მეფემ ბრძანა, ის უთუოდ მოჩვენება რამ იყოო, დაანება თავი ჯავრს, გამხიარულდა და უწინდებურად დაიწყეს ქეიფი და ნადიმობა.

ერთ ღამეს აეთანდილი თავის სადგომში იჯდა, წინ ჩანგი ედეა, უკრაედა და ამლერებდა. ამ დროს შემოვეიდა თინათინის ზანგი და მოახსენა, დედოფალი გიბრძანებსო. ვაჟი სიხარულით წამოხტა, ძეირ-ფასი კაბა ჩაიცვა და გასწია მზეთ-უნახაეთან. თინათინი ოთახში ბრძან-დებიდა, უსაპირო ყარყუმი ესხა და ბროლის, კისერზე გრძელი თმა შემორტყმოდა. კაცის თვალი მასზე უმშვერიერესს ვერვის ნა-ხეიდა. აეთანდილს წყნარად უბრძანა, დაჯექიო. ვაჟმა აღტაცებით დაუწყო ქალს ცქერა და მოახსენა. მიბრძანეთ, რა გიმძიმთო? თინა-თინმა ვაჟს ალერსით მოავონა, მან და მეფემ რომ ვეფხის-ტყაოსა-ნი ნახეს, წადი, მოძებნე ის და იპოვეო. სამი წელიწადი ვადა მისცა და უთხრა: თუ იპოვე, ხომ კარგიო, თუ არა-და დავიჯერებ, უჩი-

ნარი ყოფილათ. ამასთან ქალმა ვაჟს გაუმჯდავნა დაფარული სიყვარული და ფიტი მისცა, შენს მეტი ქმარი არ შევირთოთ. აღტა-ცებულმა აეთანდილმა აღუთქვა წადილის აღსრულება. მერმე ერთად დასხდენ, ისიყვარულეს, ცოლ-ქმრობის პირობა დასდევს და გაშორდენ.

აეთანდილ შინ მიეიდა ნაღელობდა, ვაი, თუ ვერ ვეღირსო ჩემი მზის ნახეასაო. მთელი ღამე სულ ამის ფიქრში იყო. მის თვალს ძილი არ ღირსებია. რომ გათენდა, ცხენზე შეჯდა და სასახლეში წავიდა. როსტევან ნახა და მოახსენა, მსურს სალაშქროდ წავიდე და მტერთა ჩეენთა ვაგრძნობინო, თქვენი ქალის გამეფებაო. მეფე მოე-ხეია გადაჭყოცნა, როგორც შეილი, და ნება დართო.

აეთანდილი პირ-და-პირ მამულში წავიდა. მის ყმებს ძლიერ იამათ ბატონის მობრძანება, მიეკებენ და დიდის ამბით დახვდენ აეთანდილს. აქ იგი სულ სამი დღე დარჩა. მოიხმო თავისი თანა-შეზრდილი ერთგული ყმა შერმადინი, მოისვა გვერდით და ყველა-ფერი უამბო. მას ჩააბარა სახლ-კარი, ყმა და მამული და ნაც-ლათ თავისა დასტოეა პატრონად. ყმებს წერილი დაუგდო, რომ შერმადინი მის მაგიერ პატრონად გაეხადათ, მინამ ის დაბრუნდებოდა. შერმადინს უთხრა, თუ სამს წელიწადს არ დაებრუნდე, იცოდე მკედარი ვიქნებიო, დამიტირეთ, მიგლოვეთ და მეფესაც აცნობე ჩემი სიკედილიო. შერმადინი შესწუხდა და ეხვეწა, მეც წაგყვებიო, წამიტანეო, მაგრამ აეთანდილმა უარი უთხრა და მარტო წავიდა. შერმადინმა შემოიარა აეთანდილის ქვეშეერდომნი და წა-უკითხა მისი წიგნი. ყველანი დააღმა ბატონის მოშორებაშ, მაგრამ რას იზამდენ? შერმადინი იპატრონეს და მორჩილება განუ-ცხადეს.

აეთანდილის წასვლა და ტარიელის ძებნა

აეთანდილი რომ წავიდა, დიდ ხანს იმგზავრა; არაბეთის საზღვარს გასცილდა და სხვა ქვეყნებში გავიდა. მრავალი ქვეყანა მოვლო. დიდი გაჭირვება გამოსცადა, ბევრი მგზავრი გაიცნო და ვეფხის-ტყაოსნის ამბავი ჰქითხა, მაგრამ ვერა შეიტყორა. მგზავრობის დროს აეთანდილი ხშირად იგონებდა თეისს საყვარელს და მისი მოშორება გულს უკლავდა. აეთანდილმა იმოდენ ხანს იარა და ექება ვეფხის-ტყაოსნი, რომ სამს წელიწადს ბევრი აღარ აკლდა. ბოლოს ერთს ისეთ მივარღნილ ალაგს მიაღწია, მთელ თვეს ადამიანის სახე არ უნახავს. საღამოს ქაშს დალლილი აეთანდილი ერთს მაღალ მთის წევრზე ავიდა დასადგომად. იქიდგან ისეთი თვალ უწევდენელი მინდორი დაინახა, რომ შეიდი დღის სავალი იყო. მთის ძირში წყალი ჩამოდიოდა და ნაპირები ტყეს შეეკრა. აეთანდილმა იანგარიშა დრო და ნახა, რომ ორი თვეედა დარჩენოდა ვადამდის. ამან უფრო მოუკიდა ცეცხლი სამრალოს და არ იცოდა, რა ექმნა, დაბრუნებულიყო შინ, თუ კიდევ დარჩენილიყო. თუ არ დაებრუნდი, დრო გავაო, მკედრად ჩამოვლიან, მივლოვენ და მიტირებენო, ფიქრობდა — მერმე რაღა პირით მიეიდეო, დაებრუნდე-და, რა ამბავი მიუტანო მჩეთ-უნახავს ჩემს მიჯნურსო. მერმე, ღმერთს შესჩივლა: რად გამიშვილე ამოდენი ცდა და ძებნაო. მაგრამ ულეთოთ არაფერი არიქნებაო, სთქვა, და გადასწყვიტა მოცდა. ადვა და გადინადირა ქედი მაღალი ტყანი. წყალს გასცილდა და მინდორად გავიდა. იქ მრავალი მხეცი და ნადირი ნახა. აეთანდილს ჭამა მოუნდა. შეელს ისარი ჰქრა და მოჰკლა. ცხენიდგან გაღმოხტა, კვესით ცეცხლი აანთო, შამფური გასთალა და წვადი აავო. მინამ წვადი შეიწვოდა, ცხენს საძოვარი მისცა. ამ დროს ექვსი ცხენოსნი კაცი დაინახა, მისკენ მომავალი. გაუკვირდა: მთელს თვეს კაცის სახე არ ენახა. იფიქრა: უთუოდ შეკობრები (ავაზაკები) არიანო. აიღო შეილდ-ისარი, ცხენს მოახტა და მათკენ გასწია.

რომ მიახლოვდა, ნახა, ორ უხნესს უმცროსი მოჰყავდათ და კოდილი, თაეიღამ სისხლი სდიოდა და ხშირად გული უღო ნდებოდა. აეთანდილმა შესძახა მათ: მანო! ვინა ხართ? მე ცუდს კაცებს და გამგზავსეთო. მათ მოახსენეს: „დაგვიწყნარდი, ლეთის გულისთვის და გვიშველეო.“ მერე უამბეს, რომ ჩეენ ძმები გართო. სანადიროთ წამოვედით, ვინადირეთ, გაეიმარჯვეთ და ლაშქარი გავისტუმრეთო. ჩეენ აქ დავრჩით, სამი ძმანიო, და ერთმანერთს გავეჯიბრეთო, ამ დროს ენახეთ ვიღაც ვაჟი, ვეფხის-ტყავში გახვეულიო. გაგვაკეირეა მისმა შვენებამა და შეპყრობა მოეინდომეთო. დავედევნეთ, შეუტიეთ და უმცროსმა ხელი სტაცაო. მან მათრახი მოუქნია და თავი ისე გაუჩეხა, რომ მკვდარს და მზგავსაო. თეი-თონ წავიდა ტაიჭით და, აი, დახე, სად მიდისო“ — უჩვენეს აეთანდილს.

აეთანდილს აღუსრულდა დიდი ხნის წადილი; იპოვა ეისაც, ეძებდა და გახარებული ცხენი გაქუსლა. მგზავრებს გზა დაულოცა და უთხრა, ჩემ ბინაზე ჩამოხტით და იქ დაისვენეთო. ვეფხის-ტყაოსანს რომ მიუახლოვდა, იფიქრა, შეყრა მისი არ ივარგებს, რადგან კაცსა არ იკარებსო. თუ ადამიანია, უთუოდ სადმე ბინა ექნებაო, ფიქრობდა აეთანდილი. სადაც წავა, მეც მივყვები ფარულად და იქ მოვძებნი ლონესაო. მართლაც გამოუდგა დაფარულად უკან. ორი დღე და ღამე იარეს. მესამე დღეს, საღამოს ჟამს აეთანდილმა დაინახა უზარ-მაზარი კლდეები. იმ კლდეებში ქვაბი იყო და ძირს წყალი ჩამოუდიოდა. წყლის პირს შამბი მოსდებოდა. უზარ-მაზარი ხეები კლდის წვერებს აცილებოდენ. ვეფხის-ტყაოსანმა გაიარა წყალი და გამოქვაბულს მიმართა. აეთანდილი ცხენიდამ გადმოხტა, დიდ ხეზე ავიდა და იქიდამ ცქერა დაუწყო.

ვეფხის-ტყაოსანი რომ ქვაბს მიუახლოვდა, კარზე გამოდგა ტირილით შავათ შემოსილი ქალი. ვაჟი ცხენიდგან გადმოხტა, მოეხეია იმ ქალს ყელზე და ცხელი ცრემლით შესტირა: „დაო ასმათ! ხომ ხედავ, გაგვიცუდდა ჩეენ იმედი; ვეღარ ენახეთ სიცოცხლეში, ეისიც ცეცხლი ჩეენ გვედებისო.“ ესე სთქვა და მკერდს ხელი იკრა,

თვალებიგან ცხარე ცრემლი სღიოდა და ოშას იგლეჯდა. ქალიც ეხვეოდა და სტიროდა. კლდენი მათ მათქმას ბანს აძლევდნ. აეთანდილი გაკვირვებით უცექროდა ამ სამწუხარო ამბავს და ვერ მიმსვედარიყო. როცა დაწყნარდნ, ქალმა ცხენი ქვაბში შეიყვანა და ალკაზმულობა მოხადა. ვაჟსაც აბჯარი შემოსხნა. ორივენი ქვაბში შევიდნ. აეთანდილი მთელი ღამე გარედ დარჩა და ფიქრობდა, როგორ გაეგო მათი ამბავი? რომ გათენდა, შავებიანი ქალი გამოვიდა, ცხენს ლაგამი ამოსდო და წმენდა დაუწყო. მერმე შეკაზმა და აბჯარიც გამოიტანა. გამოვიდა ვაჟი, მოეხვიენ ერთმანერთს და ტარიილით გამოესალმენ. ვეფხის-ტყაოსანი შეჯდა თავის რაშედ და წავიდა. საბრალო ქალი დარჩა მარტო დაღონებული.

ვეფხის-ტყაოსანი რა გზითაც მოვიდა, იმავე გზით წავიდა. ქვაბს რომ გაშორდა და მინდერად გავიდა, აეთანდილმა სთქვა: „ლმერთმა მოშედეაო.—იმ ქალს შევიპყრობ და ყველაფერს ვათქმევინებო. ქალი ქვაბიდგან გამოიჭრა, ეგონა ტარიელ დაბრუნდაო. სახე რომ ეუცხოვა, კივილი მორთო. აეთანდილი ცხენიდგან გადმოხტა და მიახლოვება უნდოდა. ქალი თავს არ ანებებდა და შეხედვაც ეზარებოდა, ტარიელს ეძახდა და შეელას ეველრებოდა. აეთანდილი მუხლს უყრიდა და ეხვეწებოდა: ლმერთი იწამე, იმ ყმის ამბავი მიამბევო. ბევრი ეხვეწა და ემუდარა, მაგრამ არა გაუვიდა-რა. ვაჟს ხეეწნა მოეწყინა, გაჯაერდა, ადგა, ქალი თმით წამოზიდა, ყელზე დანა დააბჯინა, და უთხრა: „თუ მიაშპობ, ამის მეტს არას კავნებ, თუ არა-და ლმერთმა ისე ჩემი მტერი მოკლას, მე შენ მოგკლაო.“

ქალმა უპასუხა: ევ რა ლონე მოიგონეო? თუ მომკლავ, მეც ევ მინდა, ტანჯვისაგან გამომიხსნიო. რას იზამდა, ქალს თავი დაანება, ბოდიში მოითხოვა, ცალკე დაჯდა და ტირილი დაიწყო. თავის მიჯნურს იგონებდა და ნალელობდა, რომ ამდენმა ცდამ ამაოდ ჩაუარა. ქალი ჯერ მრისხანედ იჯდა და ყურს უგდებდა. მერმე ტარიელი მოაგონდა. ვაჟიც შეებრალა და თვითონაც ტირილი ამოუშვა. აეთანდილი ადგა, კიდევ მუხლი მოუყარა და ემუდარა: „მაპატივე, რაც შეგცოდეო და შემიბრალე მიჯნურიო“. ქალმა რომ მიჯნურობა

ქსმა, ამოუჯდა გული და ტირილს მოუმატა. აეთანდილმა ეგ შენიშნა და კიდევ უთხრა: „დაო, მიჯნური მხეცსაც შეებრალებაო- მეც მიჯნური ვარ, ღმერთი იწამეო, მჩემა ჩემმა გამომგზავნაო. ორისა- გან ერთი მიყავ: ან მაცოცხლე ან მომკალიო და ჭირი ჭირსა მო- მიმატეო.“

ქალმა რომ ეგ გაიგონა, აეთანდილი შეებრალა და უთხრა: ტა- რიელიც მიჯნურია, ამისთვის მებრალებიო. თუ მომისმენ, რასაც გირჩევ, მე შენს თხოვნას აგისრულებო. აეთანდილს გულში გაეცი- ნა და უპასუხა: დაო, ეგ სიტყვა სწორედ ამ არაქსა ჰგავსო. ორი კაცი მიდიოდენ. წინა კაცი ჭაში ჩაეარდა და უკან მსელელ- მა ჩასძახაო: „ამხანავო! მანდ იყავი, მომიცადეო. მე შინ წავალ, თოქს მოვიტან, გიშველი და ამოგზიდავო.“ სხვა რა გზა მაქქს, არ გელოდე, სად უნდა წავიდეო?“ ჩემი საქმეც ამას გაესო, უთხრა აეთანდილმა.— რა ლონე მაქქს, არ გისმინოო!

ქალმა უთხრა აეთანდილს ეეფხის-ტყაოსნისა და თვისი სახელი და ურჩია, აქ დაიმალე ქვაბშიო, დაუცადე მოსელამდისო და, რო- ცა მოვა, გაგაუნობო. ვეცდები, შენი თავი შევაყეარო და ის გია- მბობს ყველაფერსაო. აეთანდილს იამა და დათანხმდა.

ბევრი ხანი არ გასულა, მოისმა ხევში ჩხაპუნი. გაიხედეს და მო- მავალი ტარიელი დაინახეს. ასმათმა აეთანდილი სიჩქარით ქვაბში დამალა, გაეგება ტარიელს და ორივენი ატირდენ. ქალმა აბჯარი შე- მოხსნა, ქვაბში შეიტანა და ცხენიც შეიყეანა. ტარიელს ქვეშ ვეფ- ხეის ტყავი დაუგო. აეთანდილ სარკმლიდგან ჩუმად უჭერეტდა ყვე- ლაფერს. ასმათმა კვესით ცეცხლი აანთო, წვადი შესწვა და ტარი- ელს მიართეა. მან ერთი ნაჭერი აიღო, პირში ჩაიღო, მავრამ ჭამის თავი აღარ ჰქონდა და დაუცოხნელი ლუკმა პირიდგან გამოაგდო. მერმე დაწვა, ცოტა მიეძინა. ძილში საშინლად შეკრთა, წა- მოვარდა ცეტიეით, მორთო ტირილი და თავში იცა. საბრალო ქალიც, მისი შემცქერი, სტიროლდა და პირს იხოკავდა. მერმეთ ჰკი- თხა ტარიელს, რად დაბრუნდი, გენაცვალე, ასე მალეო, რა შეგემ- თხეაო? ვაჟმა უთხრა ვიღაც მონადირე მეფე ვნახე თავის ლაშქრითაო; არ მინდოდა, რომ შევყროდი, მოეერიდე და შინ მოვედიო.

ვეჯისის-ტეატრისანი

ასმათმა ამით ისარგებლა და ტარიელს უსაყვედურა, რატომ ადამიანს არ იკარებო. დედა-მიწა მოგიელია, ერთი კაცი როგორ ვერ იპოვე, რომ გიძმოს, შევაქციოს და მარტო ყოფნით არ გაშ-მაგდეო (გაანჩხლდეო).

ტარიელმა უპასუხა: „დაო ასმათ, ვინ არის, შენს გარდა, ქვეყნაზედ ისეთი ხორციელი ადამიანი, რომ ჩემთვის იწამოს, ჩემთან გასძლოს და ჩემი ჭირი აიტანოსო?“

ასმათმა მოახსენა: „რადგან შენი ვეზირობა ღმერთს ჩემზე მოუგდიაო, მე გიპოვი ისეთ კაცს, თუ ფიცს მომცემ, არას აენებო.“ ტარიელმა შეჰვილა, რომ ვამებ და ძმასავით შევიყვარებო. მაშინ ასმათი ადგა, შეეიდა აეთანდილთან, მოჰკიდა ხელი და გამოიყვანა, ტარიელს აეთანდილი ძლიერ მოეწონა, ადგა, წინ მიევება და მიესალმენ ერთმანერთს. ეს ორი ვაჟ-კაცი რომ ერთად შეიყარენ, შვენიერი რამ სანახავი იყვენ. ტარიელმა მოისვა გვერდით უცხო ვაჟი და ჰყითხა, ვინ ხარ, ანუ საიდამ მოსულხარო? აეთანდილმა დაწერილებით უამბო თეისი ეინაობა. მოაგონა ისიც, მან და მეფემ რომ ნახეს ტარიელი ვეფხვის-ტყავით მოსილი წყლის პირზე, ტარიელმა რომ მეფეს ჯარი დაუხოცა და გაქრა, მეფემ რომ მოიწყინა, საძებნელად კაცები გავზარნა და ვერ იპოვეს. მერმე მოახსენა: მე ჩემმა მზემ თინათინმა გამომგზავნაო. სამი წელი ვადა მომცაო, გეძებე და ვერ გიპოვნეო. ბოლოს უთხრა, შენგან გალახული სამი ძმანი ვინმე ვნახე, მათ მასწავლეს, და მოგაეცნიო.

ტარიელს ყველაფერი გაახსენდა; შეებრალა აეთანდილი, გმირობა მოუწონა, აქო და დაუმადლა მოსელისათვის. აეთანდილმა მაღლობა მოახსენა, თვითონაც აქო და შეამკო ტარიელი. მერმე უთხრა, შენმა შეყრამ ყველაფერი დამავიწყაო, და, მის მეტი არა მინდარა, რომ გიახლო, სიკედილამდის გაამო და გემსახუროო. ტარიელი არ დათანმხდა. მიჯნური ხარ, მებრალებიო. რა-კი მოვვე და წალილი აღგისრულდაო, უთხრა, გეტყვი, რათ ვარ აგრე გაღმოჭრილიო. ჩემი ამბის თქმა ძნელიაო, გულზე ალმურს მომიკიდებსო. მაგრამ რა ვქნა რა-კი გიძმეო, მოვალე ვარ შენთვის თავი არ დაეზოგოვეო. ასმათს უთხრა: „დაო, მოდი, მომიჯექი და თუ დაებნდე, წყალი მაჲკურეო.“ მერმე საშინლად ამოიხრა და მოჰკიდა თავის ამბავს.

გ. იოსელიანი

(შემდეგი იქმნება)

პატარ-პატარა

სამეცნიერო წერილები

წერილი მეათე

„ჩვენ კაცთა მოგვცა ქვეყნა
გვაქვს უთვალავი ფერითა...“

შოთა

ოოგილოცავ ახალ წელს, ჩემთ საუკარელო დათ
ანიგო! ჩვენი დაუღალავი მასწავლებელიც ჩურჩხევ
ლებით და ჩამიჩით დავაბერე და ასე მითხრა: «ჩვეუ
ლება რჯულთ უმტკიცესია», მაში ჩვეულებისამებრ მეც
მოგილოცავ ახალ წელს და ვისურვებ შენთვის ერველი
ქათილით განახლებულს სულიერს და სორციელ ცხოვ
რებასათ.

მერე დამიწეო ბაასი ბუნების მეტეველებაზე: «ეს ჭიდრა,
აკტინია, სომ გაგაცანიო, ახლა უფრო გასაოცარ ამბებს
გრძელობო.

ერთ ნაირი ცხოველიც უნდა გაგაცნოო, რომელიც
გარეგანი შეხედულობით ნამდვილად აკტინიას წაჲგავსო,
ესე იგი, ლამბაზი ფერად-ფერადი ფოჩები თაიგულიგით
აქვთ გადამლილიო, მაგრამ იმით კი განირჩევა აკტი
ნიისაგან, რომ ტანი ქვასავით უმაგრდებათ და ამიტომაც
ქვის პოლიპები ეწოდებათო. ახალგაზდა პოლიპებს
ტანი აკტინიასავით რბილი აქვთ, მაგრამ ბოლოს და

ბოლოს უქვავდებათო. სიდიდითაც და შეგნეულობის მოწყობითაც პოლიტექნიკური აკტინიებს წააგვანანო და პოლიტექნიკური სამ საირად მრავლდებიანო: კვერცხებით, კოტობით და დაუკვით, მაგრამ უურადვების ღირსია მათი კოკობით გამრავლებათ.

ჯერ პოლიტი ამოირჩევს თავისთვის მუუდრო ალაგს სადმე ზღვის მირას და აქ მაგრათ ჩააგვდება რაიმე კლდეს და რაკი მირს მოიკიდებს, მერე იწევს სოლმე კოკობით ბდარტობასათ. მომეტებული ნაწილი ახლად ამოხეთქილი ბდარტებისა დედასთან მოუმორებლივ შეწებებული რჩებიანო, ახლა ეს ბდარტები კოკობებს და ახალთაობას აჩენენ და ამ გვარად უოველ წლივ თაობა თაობას ეძატებათ. რამდენიმე წლის ზედიზედ ბდარტობით ეს პატაწევინტელა ცხოველები ერთმანეთთან შეწებებულები რამდენიმე ტოტებათ მიღიონობით მრავლდებიანო. ტოტები კიდევ ახალ კოკობს ამოხეთქენ, რომელიც ბოლოს ტოტებათ გადიქცევიანო და ამის გამო ეს რამდენიმე ათას მიღიონობით შემდგარი ოჯახის შენობა გარეგანი სახით ნამდვილად ბუჩქს, ან ტოტებ-გადაჭიმულ რომელიმე მცენარეს წაჟგანანო. ისიც არ დაგავიწერესო, რომ ეს ამდენი მიღიონობით შემდგარი ოჯახი, როგორც გარედგან არიან ერთმანეთთან შეწებებულები, ისე შეგნეულობაში ერთიერთმანეთთან საკვებავი მიღებით არიან შეერთებულებით.

ბდარტობის დროს ეს პატაწევინტელა ცხოველები რბილი, ლორწოიანი ტანისანი არიანო, მერე და მერე კი ტანის გარეთა კანში კირი უჩნდებათო და თვითვეული ლოკოკინასავით კირის პარკით შეიმოსება სოლმეო. შემ-

დეგ კირი ცხოველებს შიგნეულობაშიაც უჩნდებათო, ბოლოს და ბოლოს რამდენათაც ცხოველი ხანში შედის, კირი უფრო და უფრო ემატება, მაგრება, და სიკვდილს შეძეგ სრულებით ქვავდებათ.

ამ გვარად რიგი კვდება და ქვავდება და რიგიც ასელად ბლარტობსო. — ქედა სართული ქვავდება და ზედა ბლარტობს და ხესავით ნორჩის ტოტებს ამოხეთქავს სოლმეო.


მერე მასწავლებელი შემეუითხა? «მარჯანი სომ გაგია გონიათ? მე მაშინადავ მომაგონდა და მსწრაფვლ მოგისაუზრე და მოვახსენე შენი ჯვრის ამბავი, სათლიამ რომ მარჯანის ჯვარი დაგანათლა.

ჭო და, აი, ამ გაქვავებულ ცხოველების ტოტებს მარჯანი ეწოდებათო. მაგრამ ანიკოს რომ წითელი მარჯანის ჯვარი აქვს, ის სხვა ჯიშის მარჯანია და ჯერ კი ამ მარჯანის ამბავი გავათაოთო.

უწინდელს მეცნიერებს მარჯანი მცენარე ეკონათ. მართლად და ვინც მარჯანის გარეგან, მცენარეულ სახეს შეხედვდა, მის ფერადფერადობას დააკვირდებოდა, აბა ვინ მოიფიქრებდათ, რომ ეს თაიგულივით გადაშლილი, ლას მასი ფერის ფოჩებიანი ქმნილება ცხოველი რამ იქმნებოდათ. აგერ სურათს დააკვირდი და შენც ადგილად წარმოიდგინო.

აგერ ერთი პოლიტი ცალკეთ ცხოვრებს, კუნძულში მიმალულა და ფერადი ფოჩები გადაშლია და ელის წვრილა მან ჭიათუას, რომ დასუსტოს და გადაელაბოსო. უფრო უურადღების ღირსი აგერ ის ტოტებიანი პოლიტია; მა-

გრათ ჩაჭკდომია ზღვის კლდეს და ტოტები ზღვაში ჩაუკიდნა. ვინ იცის რამდენის საუკუნის ამბავია, ვიდრე მაგოდები ტოტებიანი ხე გაიზდებოდათ. თვითვეული ტოტი ე მავ სისა მარჯნის კუნწულას შეადგენსო. ტოტები ზედ რომ ვარსკვლავებივით ასხია, ეგენი ახლად ამოხეთქილი კოკრებია; ეველა ეგ კოკორი ცოცხალი ცხოველია და ზღვის ჭია-ღუათი იგებება, ცხოვრობს და მერე ბლარტობს ამრავლებს თაობას და თითონ ბერდება, ქვავდება და კვდებათ.



მარჯანი ცხოვრობს განსაკუთრებით ცხელი ქვეუნის ზღვებშით,—განაგრძო მასწავლებელმა,—და არც ისე ღრმად

უკვარს მოშენებათ, 17—18 საუნის სიღრმეზედ აღმოირჩებს სოლის ზღვაში ქვებს, ან კლდებს და მაგრა მოჟკოდებს მიწს. ისე არსებინად ცხოვრობს და მრავლდება, რომ გორც ზევით არა ერთხელ მოვისტენიეთო.

მარჯნის მოძრაობა მხოლოდ იმაშიდა მდგომარეობს, რომ ტანს ლოკომოტინასავით სან გარედ გამოსწევს, სან ისევ ბუდეში იმალებათ. საჭმლის მოსაპოებლად კი თავის სხივისან ფოჩებს შლის და რასაც წელის ნაკადული მოუტანსო, მეტი რა გზა აქვს, იმას ჯერდებათ, ფოჩებ-გადამლილი აკტინია მლიერ მურმნობიარეა, საკმარა ჰატარა რამ მიჲეზი, რომ მაშინათვე მოკუმშოს თავის ფოჩები, ასე გასინჯე ჩრდილისაც კი ეშინანთო. მაგალითად როცა ზღვებში დიდონი სომალდები და გემები დაცურავენ, მაშინ გადამლილ აკტინიას იშვიათად შეხვდებით.


თუმცა სომალდები და გემები თავის აჩრდილითაც კი აშინებენ ჩვენ ჰატარა მარჯნებს, მაგრამ სამაგიეროთ ბეჭი კარ გემები დაუღუსავთ ამ ჰაწაწენტელა ცხოველებსაც.

დაო ანიკო! მე ძლიერ გამიკვირდა. გეჟო! ეს ერთი კოჯის ტოლა ცხოველები როგორ ამსხვრევენ ქალაქის ტოლა გემებსრო?

მასწავლებელმა, აი, როგორ ამისსნა: თუმცა თვით თვეული ცხოველი (მარჯანი) სიდიდით ორიოდ გოჯს არცეც გადაემატებათ, მაგრამ რადგან მთელი საუკუნეებით ბლარ-ტობენ და ქვავდებიან და ერთი ერთმანეთზე შედუღებული, შეწებებული რჩებიან, ამის გამო მათი კირის დუღაბივით

მაგარი შენობა ბოლოს იქმდე იზდება, რომ ზღვიდგან უციათ მთელი კუნძული ამოჟეოფს სოლმე თავსაო. ვინ იცის, რამდენი ათასი საუკუნე უნდებიან ეს წვრილი ცხოველები თავის შენობას, მაგრამ ის კი ვიცითო, რომ ამ ქამად მარჯნის კუნძულები ბლობად არიან გაფანტული ცხელი ქვეენის ზღვებშით.

აი, ამ გვარი მარჯნის კლდეები, ანუ კუნძულები ზოგჯერ მნელი შესანიშნავი არიან, რადგან ჯერ თავი არ ამოუკვიათ ზღვიდგან და ხდებიან სამინელი უბედურობის მიზე ზად, რადგან გაქანებული სომალდები და გემები მოულოდნელად, უცაბედად, დაეტაკებიან სოლმე, ლუკმალუკმათ იმსხურევიან და იმოდენი სალხი და საქონელი იღუპება ზღვაუკენებშით.



მერე მასწავლებელმა მითხოა:—აბა, დახედე ამ სურათსაო. სედავ ამ ვეებერთელა აუკერებულ კლდეს. აი, ეგ სულ

მარჯნის უნარიათ და მაგ მთის გარშემო ხომ სედავ კლდეებს, სექებს? ეგ არი მარჯნის კუნძულით და ზოგიერთა კუნძული თქვენ სოფ. ზიარზე ათჯერ უდიდესია და სალხიც მეტი ცხოვრობსთ.

წარმოიდგინე, დაო ანიუო, ხსევას რომ ეთქვა ვისმე, აბა როგორ დავიჯერებდი, რომ ამ ჰაწაწერინტელა ცხოველებს ამოდენი უნარი ჰქონდათ. ჯარანტელა ხომ ღონიერია და ამათ თურმე კიდევ მეტი შესძლებიათ!

მერე მასწავლებელმა დაუმატა: მაგგვარივე კანონიათ: ერთი კაცი უღონოა, მაგრამ როცა ერთობა და ერთგულებაა, იქ დიდი საქმე გარიგდებათ.

მე მაინც ცნობის მოვარეობა არ მასვენებდა და გსთხოვე ეამბო მარჯნის კუნძულების ამბები. აი, როგორ ამიხსნა: მარჯნის კუნძულები რაკი ზღვიდგან თავს ამოჰეოვენ, მერე ზღვაც ეხმარებათ: ღელვის დროს ზღვა ლამს და მიწას წააფარებს ხოლმეო, ოდროუჩოდრო თან-და-თან სწორდებათ, კუნძული უფრო-და-უფრო მაღლდება, იზრდება და ნოუიერი მიწაც რამდენიმე ადლის სისქეთ ეფინებათ. ბოლოს რაიმე შემთხვევით, ან ქარი მოიტანს, ან წეალი, ან არა და ფრინველები გადმოიტანენ ხოლმე სხვა-და-სხვა გვარ მცენარის თესლებს და არ გაივლის ათიოდე წელი წადი, რომ ჩვენ კუნძულზე შვენიერი ატესილი ჭალა და ქოქუსის სეები გაჩნდება ხოლმეო.

მერე ფრინველები მთელი კუნდებით მოედებიან ხოლმე ამ კუნძულს, ბუდეებს აშენებენ და თავისთვის მუუღროდ ცხოვრობენ და მრავლდებიან. ფრინველებს შემდეგ ზღვის ცხოველებიც იწევენ ცხოვრებას ამ კუნძულზედ, მეტადრე

ზღვის დელვის დროს ბევრი ცხოველი შეაფარებს ხოლმე
 აյ თავს და ხოგნიც აյ საშვილიშვილოთ სახლდებან,
 რადგან შიგა და შიგ კუნძულზედ ტბებიც გაჩნდება ხოლ
 მეო. გაიგლის დრო და ქამი, კუნძული სულ ისრდება,
 ხოუივრდება ცხოველი და ფრინველებიც მრავლდება, რად
 გან ქაცა აქვს და კაკალიც და მათს ბედს მაღლი ვერ
 დაჟეჟსო. მაგრამ დასე სოფლის მუხანათობას, ადამიანის
 შერის თვალი აქაც არ ისვენებსო: ნახავს, თუ არა, აჟავა-
 ვებულ და აფუფუნებულ კუნძულს და კუნძულის ბედნიერ
 მცხოვრებელს, მაშინათვე ადამიანს შეშურდება ხოლმე მათი
 ბედნიერება, იღებს თოვიარადს, სწევეტს მავნე ფრინველ-
 ცხოველებს და თითონ სახლდება, შენდება სოფელ-
 ქალაქები და მრიელ მდიდრულათაც ცხოვრებენ ამ ნოენიერ
 და ღონიერ მიწაზედაო.

ამდენ გასაოცარ ამბებისაგან მე რადაც ფიქრებმა გა-
 მიტაცა. დაო ანიკო, მე იმას ვთიქრობ იმ დალოცვილს
 ღმერთს უველავრისთვის როგორი წესი და რიგი მიუცია.
 აი, დიდება შენთვის ღმერთო! მერე მომავონდა და დავუ-
 კითხე მასწავლებელს იმ წითელ მარჯნის ამბავს (შენ რომ
 კვარი გაქვს).

ჩემი ბაასიდუან მიხვდებოდიო და კიდევაც აგიხსნიო:
 ვიდორე ჩვენი პატარკინტელა ცხოველები ახალგაზდანი არიან
 პოლიტები და, თუ გინდ აკტინიები, ეწოდებათ, მაგრამ
 რაგი გაქვავდებან და ტოტებიც გაუქვავდებათ, მაშინ მხო-
 ლოდ, აი, ამ გაქვავებულ ტოტებს მარჯანი ეწოდებათო.

წითელი მარჯანი თუმცა ქვის პოლიტებს ეჭუთვ-
 ის, მაგრამ განსხვავდება იმითი, რომ პირზე მხოლოდ

რეა სასუსხი ფოჩი აქტი. ამასთანავე კირის ნაწილები, მარცვლები, უფრო ქვედა ტანში უწნდებათ. სხვა ფრივ, ცხოვრებით და გამრავლებით ქვის ზოლისებს ბევრათ წაჭავა გავსო. ამ ცხოველების გაქვევებული ტოტები (მარჯანი), სხვა-და-სხვა ფერისანი არიანთ — თეთრიდგვან მოუღლებული, ვიდრე ღია-წითელი ფერისა. ქვასავით მაგარნი არიან და სესაებ ადვილად ითლებანო, ამიტომ ძველის-ძველადგვე მარჯანი ისმარება სხვა-და-სხვა გვარ სამკაულების მოსა-მზადებლადათ. წითელი მარჯნის სამშობლო ხმელთა შეა ზღვა არისო და უფრო აფრიკის კიდევებთან უკავრთ ზღვა-ში მოშენებათ. აქ სადმე კლდეს მოჰყვიდებს მირს და თავ-დაუირა იზრდებათ, ასე რომ წითელი მარჯნის კუნწულა (ტოტები) თავდაუირაა ზღვაში ჩაკიდულიო. ერთ გგარ ბადეს აკეთებენ, ნავით შეცურდებან ხოლმე ზღვაში, ბა-დეს გადისვრიან და ბადეში გაბმული მარჯნის ტოტი იმტკრე-ვა და ისე ამოაქვთ ზღვიდგანაო.

ვარდის ფერი მარჯანი უფრო მვირფასია და სა-უკეთესოთაც ითვლებათ. მარჯნის მოგროვებას და მისგან ხელოვნურ სამკაულების მომზადებას უფრო ეწეობან ზღვას-თან ასლო მცხოვრები სალხი: სარდინიელები, ნეაზოლი-ტანელები, ტოსკანელები და ისპანიელებიო.

სხვები, დაო, ვისურვოთ ჩვენი მასწავლებლის დღე-გრძელობა ამდენი შრომისასათვის.

დავშთები შენი მოსიყვარულე ძმა იღიე

სამეცნიერო*)

თავი მეექვსე

მდინარეზედ და ტბაზედ ნავით სიაჲული.



ეორე დღეს შშვენიერი ამინდი იყო. სადილს შემდეგ დედამამ სასეირნოდ წასასელელად მზადება დაიწყეს. ბავშვები აღტაცებაში იყვენ.

მთელმა ჯალაბობამ გაიარა ქალაქი, გავიდა მინდორზედ და იქიდგან შეუხეის მდინარისკენ.

—მამა, მე მევონა, ტბაზედ წაეიდოდით,—უთხრა დათამ, რომელიც შეაფიქრიანა იმ აზრმა, რომ მამას გუშინდელი დედის სიტყვა ხომ არ დაავიწყდაო.

—მაინც იქ მიედივართ,—მიუგო მამამ, მაგრამ საქმე იმაშია, რომ აქედგან ტბამდის კაი მანძილია, და დედაშენისათვის და ტასო-სთვის ძნელია იმ სიშორეზედ ფეხით წასელა-წამოსელა. იქიდგან ფეხით წამოვიდეთ და აღარ დაეიღალებით.

მამის აზრი ძალიან მოეწონათ ბავშვებს. ისინი ჯერ არ მსხდა-რიყვენ ნაეში და მოუთმენლად ელოდენ იმ წამს, როდესაც ნაეში ჩასხდებოდნ.

მდინარე შორს არ იყო. იქ შეხვდათ იმათ მეთევზე, რომელიც დათანახმდა ნაეით ტბაში ჩაყვანას.

მდინარე არ იყო დიდი, მაგრამ ძალიან ჩქარი. მოუსო მენავემ ნიჩაბი, მიანება ნაეს თავი. და ხან-და-ხან უსომდა, რომ ნაეი განზე არ წასულიყო.

—გახსოვთ, ყმაწვილებო, მე გუშინ გითხარით,—დაიწყო მამამ,— რომ დედამიწის მოძრაობას, ტრიალს ვერ ვამუნევთ, ვერა ვვრძნობთ,

*) ნახე „ჯეჯილის“ მე-6 ქვ.-რი.

მხოლოდ იმისთვის, რომ ჩეენს გარშემო მყოფი საგნებიც ჩეენთან ერთად იძერიან?

— გეახსომს,—მიუგეს ბავშვებმა.

— აქ კი ნათლადა ვხედავთ, რომ ჩეენ მიედიგართ. ასე არ არის, მამას შეეკითხა დათა.

— მართალი ხარ; იმისათვის ვერდნობთ, რომ მდინარის ნაპირი არ იძერის.

— მე ისე მეჩეენება, მითამ ჩეენა ესდგევართ ერთ ადგილას, ხეები და ნაპირი კი მიჩბის ზეეკით,—სოჭვა ტასომ.

— მაშ აბა?—ჰკითხა მამამ,—აი, სწორედ ეგრევეა დედა-მიწის მოძრაობის დროს. ჩეენთან ერთად დედა-მიწა ტრიალებს, ჩეენ კი გვეონია, მითომ მზე მირბოდეს; ეს იმისგანა ხდება, რომ დედა-მიწის ტრიალის დროს მზე ერთად ერთი საგანია, რომელიც არ იძერის. ამისთანა მოვლენას ეხედავთ ხოლმე იმ დროს, როდესაც მთვარიან ღამეში ქარი ღრუბლებს მიერეკება რომელსამე მხარეს: ჩეენ ისე გვეჩეენება, მითამ ღრუბლები დგანან, მთვარე კი ძალზე მიჩბის. მართალია მთვარე მოძრაობს, მაგრამ მძიმეთ, შეუმჩნეველად და ესტუუდებით მხოლოდ იმით, რომ ღრუბლები ჩქარა მიღიან მთვარის გვერდზედ. ეხლა დახუჭეთ თვალები, ისე რომ ვერაფერი დაინახოთ, და ისხელით ეგრე პატარა ხანს.

— როგორა გვინიათ, მიედივართ ეხლა თუ დავდევით?—ჰკითხა მამამ თვალებ დახუჭულ ბავშვებს აუმდენსამე წუთს შემდეგ.

— კლგევართ,—მიუგო დათამ.

— მაშ შეხედეთ ახლა,—უთხრა მამამ.

ბავშვებმა თვალები გააღეს.

— მართლა, ისევე ჩქარა მიედიგართ, როგორც წელან,—გაიცინა დათამ,—მე კი ისე მეჩეენა, ვრთამ დავდექით-მეთქი.

ეგ იმის ბრალია, რომ შენ ვერა ხელავდი ვერც ერთს საგანს, რომლის წყალობითაც შეგემცნია ჩეენი სიარული,—მიუგო მამამ. ეხლა მე მგონია; ნათლად შევვიძლიან წარმოდგენა, რომ მზე დგას და მხოლოდ თვალი გვატუშუებს და გვეონია, მითამ იყი დალიოდეს.

მეთევზესა სთხოვეს, რომ ნაევი ცოტათი აეჩქარებინა ნიჩბის მოსმით, და იმანაც არ დაიჩარა.

— ერთი სიტყვით მიეფრინავთ სწორედ.—წამოიძახა გახარებულმა დათამ.—დიდი სიჩბილი მოუნდებოდა ვინც მოიწადინებდა ჩვენ დაწევნას. ხეები როგორ მიფრინვენ? მართლა სთქო ტასომ: ასე გვონია, სადღაც მირბიან ნაპირები!

ნაევი თან-და-თან უახლოედებოდა ტბას. შორიდგან გამოჩნდა ტბის კიდეზე აშენებული სახლი, რომელშიაც ზაფხულობით ქალაქის ხალხი იყრიფებოდა და ნაევით დასეირნობდენ. ეს სახლი იყო აშენებული მაღლობზედ.

ეს ტბა იყსებოდა მდინარიდგან გამოყვანილი არხითა. როდესაც ტბა პირამდის მოიყრებოდა, მერე წყალი ისევ მდინარეს უბრუნდებოდა.

საზაფხულო სახლთან გაშენებულ ბაღში რამდენიმე სახლობა იყო. ბავშვებს ჟივილ ხიეილი გაჰქონდათ, დარბოდენ, ხტუნაობდენ, ჩვენი ტასო და დათაც გაერიენ იმათში. იმ ბავშვებში რამდენიმე დათას ამხანავიც ერია.

თამაშობით რომ დაიღალენ, ბავშვებმა ახლა მდინარისაკენ გასწიეს ლოკოკინების და ყვავილების საკრეფად. ქალებმა დაიწყეს ყვავილის გვირგვინების წვნა, ვაჟებმა—ჩალიჩობის თამაშობა. ვინც აღრე მოეიდოდა დანიშნულ ადგილას, საჩუქრად გვირგვინს ადგამდენ თავზე. დასაჩუქრებული ყმაწვილები ამპარტავნობდენ გვირგვინით. ეს ასეც არის. ის, რასაც ჩვენ დაეიმსახურებთ, უფრო სასიამოვნოა ჩვენთვის, კიდრე დაუმსახურებლად მიღებული რამე.

ბოლოს დაიწყო ხალხმა ტბაზედ ნაევებით სეირნობა. ყმაწვილების აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა, მით უფრო, რომ ტბაში შეენიერი ყვავილები იყო ამოსული. ბავშვებმა დაიწყეს ყვავილების კრეფა და მალე თვეითოვეულს მათგანს დიდი თაიგული ეჭირა ხელში, თუმც ჩვენი დათა კინაღამ წყალში ჩაეარდა, ყვავილების კრეფის დროს.

დათას ძალიან გულით უნდოდა ნიჩბის მოსმა; მეთევზე დათანხმდა



და მისცა ნიჩაბი, მაგრამ ეერ მოახერხა მოსმა, თუმცა თეითონ
მეთევზე თავისუფლად უსომდა.

— ეხლა კი დროა შინ წასელისა, — სთქო დედამ. — მზემ ძალიან გადიხარა და ჩევნ კი კაი მანძილი გვაძეს გასაკლელი.

მთელი ჯალაბობა გადმოიყიდა ნაერდგან და გაუდგენ ფეხით გზა-ტკეცილს, რომელიც ქალაქისკენ გაემართებოდა.

ଟାଙ୍କା ଗୋପନୀୟ

დიდი გემები და იმათა ცურვა

მთელი სახლობა მჩიარულად დაბრუნდა სახლში. ჯერ მზე არ ჩა-
სულიყო, დაფრინავდენ სხვა-და-სხვა ფერის პეპელები, რომლებიც
შზის ჩასვლის უმაღლ მიიმალენ ზოგი ყვავილებში, ზოგი ხეებში და
ზოგი ბალახებში. იმათ მაგიერ დაიწყეს ფრენა ღამის პეპელებმა,
რომელთაც ერთნაირი თავისი ფერები დაკრავდათ ყველას.

სიბნელემ მოიცავა არე-მარე. გარშემო მტკნარი სიჩუმე სუფევდა. ბუნება ძილს მიეცა. ღამის მყუდროებას არღვევდა მხოლოდ ჭიების ზუტუნი და ჭრიტკინების ჭრიტკინი.

სასიამოენია, როდესაც სუფთა ჰაერზედ სეირნობით გულ-დასრულებული ბრუნდები შინ დასასკვნებლად.

ჩევნ მგზავრებს შემოეყარათ კაცი, რომელსაც ეტლში ავეჯით დატეირთული პატარა ეტლი მიჰქონდა. ლეიბებით, ბალიშებით, საბნებით და სხვ. ბალიშებზედ შესკუპებულიყო პატარა გოგო. ეტლს გვერდზედ მისდევდა ძუძუ მწოვარა ბაეშეიანი დედა-კაცი, რომელსაც უკან მისდევდა ქალ-ვაჭი, ჩევნი დათასი და ტასოს ტოლები. ბაეშეებს ეცვათ ლარიბული, მაგრამ სულთა ტანისამობი.

დათა და ტასო განცემულებით და ცნობის-მოყვარეობით უყურებდენ უცნაურ მგზავრებს. მეტლე დაუბირდაპირდა ბავშვებს, შეაყნა ეტლი, თავი დაუკრა, ამოიღო ჯიბიდვან ხელუახოუ და მო-

იწმინდა ოფლი, რომელიც წყალივით ჩამოსდიოდა თავ-პირზედ. ეტყობოდა, პატარა ეტლს ძალიან მოექანუა საბრალო.

დათას დედ-მამა მიესალმა მგზავრებს და ჰკითხა: საიო მიღი-სართო.

— მახლობელ სოფელში გიახლებით,—მიუვო კაცმა,—ქალა-ქის სასტუმროებში დადგომა სიძეირის გამო ძნელია ჩვენთვის და სოფელში კი იაფად გადაერჩებით.

— განა აქაური სოფლელი არა ხართ თქვენა?

— არა, ბატონი,—მიუგეს გულ-დაწყვეტით მგზავრებმა,—ჩვენ ეხლა უბინონი, უსახლ-კარინი გახლავართ, მოვდივართ შორის სოფლიდგან და უფრო შორს მიედივართ, —ამერიკაში.

— ამერიკაში? —გაიოცა დათას დედამ: —ღმერთო მაღალო! მერე მაგ პატარა შეიძლებით გავიძელნიათ იმ სიშორეს წასელა?

— ძნელია, მართალია, მაგრამ რას იზამ, —მიუვო დედაკაცმა. გაჭირება ჟველაფერს აკისრეინებს კაცს, არაუშავს-რა, ღმერთია მო-წყალე.

— რკინის გზით არ შეგეძლოთ წასელა? უთხრა ტასოს მამამ: ფეხით მოგზაურობა ძალიან ძნელია თქვენთვის, მეტადრე პატარა ბავშვებისთვის.

— ეჭვი არ არის ძნელია, —მიუვო კაცმა, —მაგრამ რკინის გზის ხარჯის შესამოკლებლად გადმოვიარეთ. თუ რომ ორიოდე გროში გვაქვს, იმისათვის ეუფროთხილდებით, რომ ამერიკაში იმით წავიდეთ. ღამდება და, აბა, წავიდეთ, —მიუბრუნდა იგი თავის ცოლს. ბავშვებს დაბინავება უნდა.

ტასოსა და დათას მამას უნდოდა ფული რამ მიეცა მგზავრე-ბისთვის, მაგრამ იმან უარი სთქო და დაუმატა:

— მადლობელი გახლავართ, არ შემიძლიან მოწყალების მა-ღება. მართალია ღარიბი ვარ, მაგრამ, იმედი მაქვს ჩემი ცოლშვი-ლი პატიოსანი შერმომით ვაცხოვრო.

— ძალიან პატიოსნური და კეთილშობილურია თქვენი საქ-ციელი —უთხრა დათას მამამ მგზავრს და გრძნობით ჩამოსართვა

ხელი უცნობს,—ამის ნება მაინც მომეუით, რომ ეს მცირედი ფული თქვენს ბაეშვებს მივცე. რომ იმათ ამერიკაში მისულისას იყიდონ რამე. ამით ძალიან დამავალებთ და მასიამოვნებთ.

ამ სიტყვებით იმან საჩქაროდ გადასცა ფული ბალიშებზედ მჯდომ ბაეშვეს.

— ესიურებ თქვენთვის ყოველ კეთილს, და ესთხოვ, ყოვლად შემძლებელს უფალს, რომ მან თავისი წყალობა და მფარველობა არ მოგაკლოთ.

იმათ მაგრათ ჩამოართვეს ერთმანეთს ხელი და გაუდგენ თავთავიანთ გზას.

— მამა, მერე როგორ უნდა გადავიდენ ამერიკაში?—ჰკითხა ტასომ მამას,— ჩევნა და ამერიკას შუა ხომ დიდი ზღვა სძევს?

— ეგ მართალია, მაგრამ ისინი ხმელეთით მივლენ მახლობელნაეთ-საყუდელთან, იქ ჩასხდებიან დიდ გემში, რომელიც გადაიყენს იმათ ამერიკაში.

— რა არის, მამავ ნაეთ-საყუდელი?—ჰკითხეს ბაეშვებმა.

— ნაეთ-საყუდელი, ანუ ნაეთ-სადგური ჰქვიან ზღვის პირას მდებარე ადგილს, სადაც გემებს შეუძლიან დგომა. ესეთი ადგილებია იქ, სადაც ზღვაა შეჭრილი ხმელეთში, ან არა და იმისთანა ადგილს ირჩევენ, სადაც მდინარე ჩადის, თუ ამისთანა ადგილს ქალაქია აშენებული. ამისთინა ქალაქს ჰქვიან ზღვის-პირის ქალაქი.

ბაეშვები კითხვას კითხვაზე აძლევდენ მამას გემით სიარულის შესახებ. იგი დაპირდა, შინ რომ მივალთ, მაშინ გიამბობთო.

ბაეშვები მოუთმენლად ელოდენ მამის დაპირებულ ამბავს. იმათ უნდოდათ გაეგოთ, თუ როგორ შესძლებს ქორფა ბაეშვების პატრონი ღარიბი ხალხი გემით გადასვლას ამერიკაში, მერე თუ თეითონევე მოუხდებათ გემით ტარება და ნიჩის მოსმა?

— შეილო, რაზედ უნდა გეკითხათ წელან?—ჰკითხა მამამ, ჩაი რომ დალიეს.

— მამა, უთხრა დათამ,- შენ გეითხარი, რომ ამერიკა ძალიან შორს არის ჩევნგან, რომ დიდი ზღვა სძევს ჩევნსა და იმას შუა. მაშ

ს ა მ ე ა რ თ

წელანდელმა კაცმა მთელი გზა თვითონ ნიჩბები უნდა უსვას? სად უნდა დაწვენ დამე ბავშვები, ან რა უნდა ჰქმნან, წეიმა რომ მოუკიდესთ?

— გემი, რომლითაც ზღვაში დაღიან, იმისთანა კი ნუ გევონე-ბათ, როგორც დღევანდელი ჩეენი ნაეი. გემი არის წყალზედ აშენე-ბული სახლი, რომელშიაც ხალხი კარგა ბლობათ ჩაეტევა.

— წყალზე აშენებული სახლი? — გაიკვირვეს ბავშვებმა, — ზევი-დგან დახურულიც არის?

— მაშ, მხოლოდ იმისი სახურავი ცოტა სხეა ნაირია. განირჩევა სახლის სახურავიდგან სქელი ფიცრები იატაქიეთ ისე მაგრად არის შეკრული, რომ იმაში ცვარი წყალი არ გავა; ამ სახურავსა ჰქვიან გემის ბანი. ეს იმასვე წარმოადგენს გემისათვის, რასაც ჩეენი ჭრი. გემის ბანზე კაცს შეუძლიან ჯდომაც და სიარულიც. როცა მგზა-ვრობის დროს კაი ამინდია, ხალხი ზევით, ბანზე ადის, წეიმის ანუ თოვლის დროს, ძირს ჩამოდიან.

— მერე ნიჩბით როგორ უსმენ ამისთანა უზბრჩარ გემს? — ჰყითხა ტასომ.

— გემზე ნიჩბით არ უსმენ, — უთხრა მამამ, — გემი სხეა ნაირად მისურავს. რომ უფრო კარგათ გაიგოთ, ავიღოთ წყლით საესე თაბაზი და გავაკეთოთ პატარა გემი.

— იმ პატარა გემითაც შეიძლება სიარული? — ჰყითხა ტასომ.

— თაბაზით სიარული ვის გაუგონა? — სიცილითა სთქეა და-თამ: დიდ მანძილსაც გაივლი, თუ თაბაზით წახვედი.

მაგიდაზედ (სტოლზე) დასდგეს წყლით საესე თაბაზი. მამამ, და-პირებული პატარა გემის მაგიერ, თაბაზში ჩააგდო კაკლის ნახევარი ნაჭუჭი.

— ევ რა ნაირი გემია! — სთქო ტასომ.

— მართალია, — გაიცინა მამამ, მაგრამ ამ ზღვას ეს გემი შეეფე-რება. ამ ნაჭუჭით ბევრს რამეს აგიხსნით.

თქვენ დღესა ნახეთ, რომ ნაეი მიჰყვანდა მეთევზეს ნიჩბის მო-

სმით; გემი კი ისეთი დიდია, რომ იმის ნიჩბით ადგილიდგან დაძრა
ძალიან ძნელია; ამისათვის სხვა ღონე მოიგონეს.

თქვენ, მე მგონია, შეამცნევდითო, რომ წყალში მოტივტივე სა-
განი ერთ ადგილას არა დგება და რომელსამე შხარეს მიდის.

— მართალია,— მიუგო დათამ, — ჩვენ სასწავლებელში რომ აუზია
ნაფოტებსა და ბურბუშელას ჩაყყრით ხოლმე და საითაც ქარი შემო-
უბერაეს, იქით მიაქეს.

— ისე მძიმეთ, რომ იაროს გემშა, როგორც აუზში ჩაყრილი
ნაფოტი, ნიაენი დროს ან სულ არ დაიძროდა გემი, ან ძალიან მძიმეთ
წავიდოდა. კაცს უნდა მოევონა იმისთანა რამ, რომლის შემწეობითაც
მცირე ნიავის დროსაც კი გაეჩქარებინა გემი. ამისათვის გემზედ გაჭი-
მულია დიდრონი ტილოს ნაჭრები, რომელთაც იალქანი ჰქვიან. აი,
ეხლავ გაჩერებთ ამას. გემის ბანზე ჩასხმულია მაღალი ლატნები,
რომლებსაც ანძა ჰქვიან. აი, ეს ნაჭუჭუში ჩასხმული წკირა წარმოადგენს
ანძას. ანძას გარდი-გარდმო მიკრული აქვს ლატანი, რომელზედაც
მიბმული და გაჭიმულია იალქანი, როგორც აი, ეს ქალალი წკირა-
ზედ. აბა, შეუბერეთ ამ იალქანს.

დათამ ძალზედ შეუბერა იალქანს და გემი გადაბრუნდა.

— რას შერები, დათა, რაზედ დალუპე ჩვენი გემი! — უთხრა
განაწყენებულმა ტასომ.

— არა უშავსრა, — გაიცინა მამამ და წყალი გამოლეარა ნაჭუ-
ჭიდგან, — ესევე შეიძლება დაემართოს გეშს ზღვაში, თუ დიდი ქარი
ამოეარდა. ეს იმისაგან მოხდა, რომ ჩვენი იალქანი მძიმეა გემთან
შედარებით და იმისათვის გადასძლია.

რომ ამისთანა უბედურება აიცილონ, გემის ქვეითა ნაწილში
აწყობენ მძიმე რასმე, მაგალითად რკინეულობას, რის გამოც გემი
აღარ გადაბრუნდება, თუნდა დიდი ქარიც იყოს. თუ რკინეულობა,
ან სხვა მძიმე ბარგი არ არის ჩასაწყობათ, იმის მაგიერ აწყობენ დიდ-
რონ ქვებს, რომლებსაც მერე ისევ გადაჰყრიან ხოლმე. ჩვენი გემიც
დავტვირთოთ.



მამამ აიღო ერთი წმინდა საფანტი, ჩადო გემში და უთხრა დათას შეებერა. ნაჭუჭმა ცოტა ცვერდზედ გადაიწია, მაგრამ არ გადაბრუნდა კი და მშვიდობით გაეიღა თაბახის მეორე ნაპირს. იქ ტასო იჯდა; ახლა იმან შეებერა გემსა და გამოაგდო მეორე მხარეს დათასკენ. ძალიან გაერთენ ბავშვები ამ თამაშობით.

ეხლა თქვენ იცით,—დაიწყო მამამ,—თუ როგორ დაცურავს გე-
მი ქარის შემწეობით. გემს აქეს ხოლმე მარტო ერთი დიდი იალქა-
ნი კი არა, არამედ ორი და სამი, რომლებსაც რამდენიმე პატარა
იალქნებით აქვთ მიყრული. თქვენ, მგონია, შეამცნიეთ, რომ ჩვენი პა-
ტარა გემი, როცა უბერავდით, ტრიალებდა. ესევე მოუკიდოდა დიდ
გემსაც, „ცხეირი“ რომ არა ჰქონოდა, გემის „ცხეირი“, მართალია,
ნავისასა ჰგავს, მაგრამ იმაზედ გაცილებით დიდია.

— მაშასადაც, აბა ახლა მითხარ, ტასო, გემისათვის საჭიროა ნიჩბის მოსმა, თუ არა?

— არა, საჭირო არ არის. გემსა აქვს იალქები, რომელსაც
ქარი უბერავს და მიჰყავს.

— როგორდა უნდა მიატრიალ-მოატრიალონ გემი?

— ამისთვის გემსა ატვის „ცხვირი“.

— რამდენი ხანი უნდება გემი ჩევნიდგან ამერიკამდის? — ჰეთ-
ხა დათავს.

— ჩვენიდგან ამერიკამდის დიდ ხანს უნდებიან, ზოგჯერ რამ-
დენსამე თვეს. იალქნიანი გემები ორ თვეს უნდებიან. თუ პირქარი
ამოვარდა. ამაზედ უფრო დიდხანს უნდებიან, თუ ზერექარი,—უო-
ტა ნაკლებს. მართლა! იცათ, თვეს რამდენი დღე აქვს?

— ସବୁ ଲା ଅଟି, —ମିଳ୍କା ପ୍ରାସାଦ.

— მაშასადამე სამოცი დღე უნდება გემი ამერიკამდის მისელას,
— სთქო დათამ. ძალიან დიდი ხანია.

— ეგ ყველა კარგი, მაგრამ მეზაერები სადა შოულობენ ამ-
დენი ხნის საგზალს? — იკითხა ტასომ. — ამას გარდა წყალიც სა-
ჭიროა იმათთვეის: შენ არ გვითხარი, რომ ზღვის წყალი ძალიან
მლაშეა?

— მართალია. მოგზაურნი საჭმელ-სასმელს აქედგანვე წაიღებენ ხოლმე. ყველა გემში სამზარეულოც არის, სადაც მზადდება მგზავრებისთვის საჭმელი. ღამე ყველანი გემში შედიან ხოლმე: იქ არც ცივა, არც სინესტეა.

— ღამეს დაბმენ ხოლმე? — იკითხა ტასომ.

— გემის დაბმა შეიძლება მდინარეზედ, — მიუვო მამამ — სადაც ნაპირზე გემის გატანა ადვილია, ზღვაზედ კი ეს შეუძლებელია. ზღვა ძალიან ღრმა; ისეთი ღრმაა, რომ ზღვაში, რომ ხეები ამოდიოდენ, რაც უნდა უზარმაზარი, მაღალი ხე იყოს, მაინც იმისი კენჭერო ზღვის პირს ვერ ასწვდებოდა. ამის გამო დღე და ღამე სულ დადის გემი.

— მერე როგორდა იძინებენ? — გაიოცეს ბავშვებმა.

— გემზე არიან იმისთანა კაცები, რომლების მოვალეობასაც ის შეადგენს, რომ გემს ყური უკდონ. ამ კაცებსა ჰქეიან მეხო-მალდები „მატროსები“. რადგანაც ყველა გემზედ რამდენიმე კაცია, ამისთვის ისინი რიგ-რიგათ ასრულებენ თავის თანამდებას.

— დღეს რომ პატარა ბავშვი ვნახეთ, ისიც უშველის „მეხო-მალდებს“, იკითხა დათამ:

— აბა გემზე სამსახური ძალიან ძნელია, და არამც თუ პა-ტარა, დიდიც კი ვერ შესძლებს მეხომალდობას, თუ დახელოვნებული არ არის ამ საქმეში. მგზავრები ფასს აძლევენ ამერიკაში, გინდსხვა ქვეყანაში გადაყვანისთვის გემის პატრონს, რომელიც ჯამაგირს აძლევს აცმევს, ასმევს, აჭმევს, მეხომალდებს.

— თეოთონ გემი რომ ძალიან დიდია. ახლა იმოტელა ბარგი, ხალხი და მაინც არ იძირება. ხომ ყოველი მძიმე საგანი იძირება წყალში.

— შენ მართალი ხარ, მაგრამ სრულიად კი არა, — მიუვო მამამ. გემის ქვევითა ნაწილი ცარიელია, შიგ ბევრი ჰაერია, რომელიც წყალზე გაცილებით მსუბუქია და ამისთვის არ იძირება გემი. დათა, მომიტა, შეიღო ჯამი და კოეზი; იმით უკეთ აგიხსნით.

დათამ საჩქაროდ მოაჩრდენინა ჯამი და კოეზი.

— უყურეთ,—დაიწყო მამამ, — ეს ჯამია ჩინურისა, რომელიც ისეთივე მძიმეა, როგორც ქვა. გვერდით თუ ჩაეუშეი, ეს ფინჯანი წყალში ჩაიძირება, იმისთვის, რომ იგი წყალზედ მძიმეა. ეხლა ჩაუშებ ამ ფინჯანს ძირით. ისე რომ წყალმა ფინჯანში მყოფი ჰაერი არ გამოაძეოს, უყურეთ ისევე ტივტივებს ფინჯანი, როგორც კაკლის ნაჭუჭი. ჩავასხათ ფინჯანში რამდენიმე კოეჭი წყალი.

ფინჯანშია ჩაიწია წყალში, მაგრამ მაინც თავისუფლად ტივტივებს და ცურავს. ჩავყრი ერთ კოეჭს საფანტს. — ფინჯანი უფრო დაიძირა, მაგრამ მაინც ტივტივებს. აქედან, მე მგონია, ცხადადა ხედავთ, რომ ძალიან ბევრი რამ შეიძლება დაიდოს გემზე და მაინც არ დაიძიროს. რასაკეირვლია, შეიძლება ფინჯანშიაც და გემშიაც იმდენი რამ ჩაეაწყოთ, რომ იგი დაიძიროს; მაგრამ საქმე იმაშია, რომ გემზე იმდენს უდებენ, რამდენის წალებაც შეუძლიან დაუძირავად.

— ზღვაში წყალი ხომ შევუბულია, — უთხრა დათამ მამას, — მაშ თუ არ ქარი და იალქნები, გემს ცურეა არ შეუძლიან? მაშინ როგორლა დადის გემი, როცა ქარი არა ქრის?


— არა, მარტო იალქნიანი გემით არ დადიან ზღვაში, — მიუგო მამამ, — იალქნიანი გემით სიარული, უწინდელი, უილაჯობის საღსარია, თუმცა ეხლაც დადიან. ხომ იცით, რომ არის რკინის გზა, რომლის მატარებელიც ორთქლს დააქვს. როგორც ხმელეთზედ გამოიყნა ადამიანმა ორთქლის ძალა, და ხარ-კამეჩისა და ცხენის მაგიერი იგი ამუშავა, ისე კაცისა და ქარის მაგიერ, იმას მოასმევინა ნავის ნიჩბები და ატარებინა ორთქლით მავალი გემი.

— ჩქარა დადის ის ორთქლით მავალი გემი? — ჰკიოთხეს ბავშვებმა.

— იალქნიან გემზედ გაცილებით ჩქარა. ევროპასა და ამერიკას შუა მდებარე მანძილს ორთქლით მავალი გემი გაიკლის ხოლმე ათ დღეში, და, როგორც გითხარით, — სამოც დღეს უნდება, მაშასადამე, ექვსჯერ ჩქარა დადის.

— იმისთანა გემი კი არ შეიძლება, რომ ორთქლითაც დადია დღეს და იალქნებითაც? — იყითხა დათამ.

— შეიძლება კი არა, არის კიდეც. აი, შეხედეთ ამ სურათს. შავ-ზოვაზე გემებია, ბათუმის ნავ-სადგურში მიყენებული.



დიდ გემებს უკეთელად იალქნებიცა აქვს, მართალია ამისთანა გემს შეუძლიან უიალქნოთაც იაროს მარეტო ორთქლით, ან იალქნებით უორთქლოდ, მაგრამ ორივეს ერთად ხმარობენ.

— როცა ორთქლიც არის და იალქნებიც, რა ჩქარა წავა გემი! — წაშოიძახეს ბავშვებმა.

— ამაზედ უკეთესი და ჩქარი სიარული შეუძლებელია ჯერ-ჯერობით დღეს ეს იკმარეთ: ახლს დაისვენეთ; ბევრი რამ აწალი გაიგეთ დღესა. ეცალენით, არ დაივიწყოთ, რაც დღეს ვისწავლეთ და გაიმეორეთ.

(შემდეგი იქნება)

ირ. ბაქრაძე


M

ც ი ც უ ნ ი ა

ემოირბინა თაგუნაძ
სახლში ასალ წელ დამესა;
დარბოდა, დასუნსულებდა,
რომ წასწევდომოდა რამესა.

ბლომად ელაგა თაროზე
დაძცხვარი ნაზუქ-ზურები.
მაგრამ რა ნახა სანთელი,
შედგა, აცევიტა უურები.

და სთქვა:—ეს უველას სჯობია,
იქნება გუმრიულიო,
მაგრამ რა ვუყო ამ ქოფაკს,
გამიგებს სამაგელიო.



სხვა დასაწოლი ვერ ნახა,
 რაღა აქ მოუყენდა?
 ე ცალ-თვალს რატომ არ ჩუქავს,
 ღმერთო მიბრალე, ბეჭდა!

მოდი ჯერ ვნახავ, იფიქრა,
 სტუის, თუ მართლა სძინავსო.
 მილ-ქუში აწევს უთუოდ,
 რომ ასე ტკბილად ფშვინავსო.

სული გატვრინა, განაბა
 ეურ-ცევიტა ციცუნიამა;
 გულში კი ამბობს,—ღმერთს ვფიცავ,
 შენი სტუმრობა მიამა.

სწორედ ვახშამზედ ვფიქრობდი,
 ვაკაწერებდი გბილებსა...
 მაგრამ არ შევჭამ; ღილაზედ
 ამით მივუკვლევ შვილებსა.

გოზინაეს მაინც არ სჭამენ,
 ტკბილს არა მევანან ჩვეული,
 ვერც რას დავსტუუბ მზარეულს,
 მეტად მუნწია წვეული.

ფხუკ!... წამოვარდა ციცუნა,
 დააბრიალა თვალები;
 გედი გაბზიკა, ის-იუო,
 უნდა ეტაცნა ბრჭყალები;


მაგრამ წინ შეხვდა მანდალი,
 ზედ დაეჯახა მალითა,



ჭერა წისლი გადაბერონა
კოტრიალ-პროჭიალითა.

და გამოუდგა; — თაგვემა კი
მიმართა იქვე წადასა:
ზირ-ჩალა გამოვლებული
ფისოც იზამდა რაღასა?

თან შეჭევა, მაგრამ სად იყო? ...
ვისაც ემებდა მწარედა,
გახვრეტილ წაღის მირიდამ
ფხაჭა მოედო გარედა.




— ଗୋଟିଏ କଥା କଥା କଥା କଥା,
 ଉଚ୍ଛବିଲାଦ କଥା କଥା କଥା;
 କଥା କଥା କଥା କଥା କଥା;
 କଥା କଥା କଥା କଥା କଥା.

ମୁଁ ଆଜିକୁ କଥା କଥା କଥା କଥା
 କଥା କଥା କଥା କଥା କଥା;
 କଥା କଥା କଥା କଥା କଥା;
 କଥା କଥା କଥା କଥା କଥା.

କଥା କଥା କଥା କଥା କଥା;
 କଥା କଥା କଥା କଥା କଥା;
 କଥା କଥା କଥା କଥା କଥା;
 କଥା କଥା କଥା କଥା କଥା.

ଶ. ମନ୍ଦିର ପାତା



ასალ წლის მილოცვა



რაჭული ასალწლის მილოცვა

(ჩაწერილი სამ. დათეშიძისაგან)

პაფო, გადღევრძელოს,
ლმერთმა გაცოცლოს!
დაგიცას ლმერთმა შიშთა შიშშილისაგან,
უხვდოთ სიკვდილისაგან,
აეი კაცის გალისაგან,
დედა-კაცის შარისაგან,
აგორებული ქვისაგან,
ალელვებული წყლისაგან,
აეი ზვავისა და დავისაგან.



შრუშანა

(გაგონილი რაჭაში მისგანვე)

ერთსა ვისმე, ქალსა ვისმე, ერქვა შრუშანაო,
ხუთსა თითსა, შუა თითსა, ეცვა ბეჭედაო,
ბეჭდის თეალსა, ბეჭდის თვალსა, მოლი ასულაო,
მოლთა შუა, მოლთა, შუა ნაძვი ასულაო,
ნაძვის წერსა, ნაძვის წერსა, ქორს ბუდე ედგაო:
ბუდე იყო, ბუდე იყო, აბრეშუმისაო,
კვერცხი ჰქონდა, კვერცხი ჰქონდა, იაგუნდისაო;

შეილი ჰყავდა, შეილი ჰყავდა მარგალიტისაო;
 ღმერთო ერთი, ღმერთო ერთი, ჩემთვის გაზარდეო,
 სხვა ათასი, სხვა ათასი, სხვას გაუზარდეო;
 გაზარდე და გაკეთე, გზა გაუწალდეო;
 სანადიროთ რომ წავიდეს, მოაკვლევინეო;
 როცა წავა სანადიროს, მოჰკლას ირემიო,
 მოიკიდოს, წამოილოს, შინ მოიტანოსო.
 „რძალუა, მისი ბალანი მე დამიგლიჯეო,
 „იმისი წინდა-პაიჭი, ჩოხაც, დამირთეო!





ბ ე ვ რ ი ს მ ა მ ე ბ ა რ ი დ ა რ ჩ ა მ შ ი ე რ ი

გელია გაჩქარებული მიაჩენინებს ხილზე ქათამს. ამ ღროს
 წყალში თვალს მოჰკრას ქათმის ლანდს, მეტად გადიდებულს.
 მსუნავი ფიქრობს: მოდი, იმ ღიდ ქათამს დავიჭერო. გადავარდება
 წყალში ქათმის ლანდის დასაჭერათ და ნამდეილს ქათამს კი პირი-
 დამ გააგდებს.

ამ სახით ამოწყუმშლული მელია დამრჩა ცარიელი.





ანდაზები

1. არა მჯერა, რომ ჭინჭრაქავ კვერცხი დასუვას არწიება.
2. ქორო ბევრისა მდევარო, ბევრჯელ დაშრები მშიერი.
3. ჩვენი გოგიტა ქართველი ახირებული კაცია,
შიმშილით კუჭი უკვდება, სტუმარს დაუკლა ვაცია.

გამოცანები

(წარმოდგენილი დათეშიესაგან)

ერთი რამ უცხო ფრინველი, მთას მიაღება გმირულად,
თავს ხურავს წითელი ქუდი, ტანსა აცეია ბებრულად,
თავისი პირი ცულდათ აქეს მას ახალ გამოპირულად;
ხმელს დაჰკრავს, ნედლი გამოაქეს, თავისი სარჩო გმირულად.

(წარმოდგენილი ე. გაბაშვილისაგან)

არწიე წივის, მუხნარი კივის,
ფუტურო სკდება, ცეცხლი ედება.

მოყიდა შავი მოზვერი,
სულ წააქცია სოფელი.

ეზიეარ კლდესა, ვიქნევ ხელსა,
მოდი, მამის შენის მხესა.

წყლის შეილდი და ხის ისარი,
ხესა ვკარ და ქვა დაეძარი.

(წარმოდგენილი აპ. წულაძისაგან)

ერთი რამა საქონელი უზუმფაშის დაეკარგა,
ტირის, კვნესის, იარება. ჰკითხეთ, თუ რა დაგეკარგა?

ს ა ხ ა ლ ს ო ლ ე ქ ს ე ბ ი

(მისგანვე წარმოდგენილი)

კალანდა და ნათლის ლება!
ბატონო, თქვენ დაგშვენდება
ინით წვერ-ულეაშის ლება.

მათუსალას მეძახოდენ, წევრი მქონდა განა ხისა,
ქჩისტეს მოსვლის უწინარეს ვიყავ ცხრას სამის წლისა.
ენუქის და ილიასი მარწებელი ვარ აკენისა.
სოლომ ცეცხლი რომ მოედო, დამსწრებელი ვარ იმ დღისა,
ნოეს დროში ხურო ვიყავ, მშენებელი კიდობნისა.

ქ მ ა

(მისგანვე წარმოდგენილი)

გიგო, შიგნით შემო, დგომა გარეთ რას გარგია?
ლიზამ თარიღი დააწერა წერილს.
„ბოშო“ ბავშს ეტყვიან იმერლები.
დავიწვი მარტო, ბეჩავ.
საამოთ ალევინებს.

ერთმა ცხენოსანმა კაცმა ჩამოიარა ქალაქზედ, უკან ქალი უჯდა,
ხალხმა რომ კაცი და ქალი ერთ ცხენზედ მჯდომა დაინახა, სასა-
ცილოდ აიგდო. ქალმა გაიგონა ეს და ასე უთხრა:

— განა უცხოა ეს კაცი ჩემი, რომ ევრე გეოცათ? ამისი დედა
დედი ჩემის დედამთილი იყოვო. — რა იყო კაცი ქალისა?

ს ა მ ა თ ე მ ა თ ი კ ო გ ა მ ო ც ა ნ ა

(ჯაყელისაგან წარმოდგენილი)

ხის სიმაღლე არის 20 არშინი. ამ ხეზედ ადის ჯიანჭველა,
რომელსაც უნდა წვერზედ ასვლა. ეს ჯიანჭველა როდესაც ავა

მაღლა წვერზედ, მაშინვე მოკედება. გამოიცანით, რამდენი დღე მოუნდება ასელას, თუ დღეში ადის 5 არშინს, ღამე კი ძირს ჩამოდის 4 არშინზედ?

შარადა


(ჭარმოდგენილი კორტოხასაგან)

პირველის ასოთ იწყება
პირველი კაცის სახელი,
მეორით — ძმისა მკვლელისა,
სიცოცხლით ცოდეის მნახველი;
მესამით პირველს ეიგონებ,
მეოთხით მეორესაო,
მეხუთით იერუსალიმს,
განოიცანით ესაო?

რებუსი



თორა
გა
კვე




გე



(ინგვის)

II



მინ
აგ

$\frac{1}{12}$ ფელ
გა



ღეს

კრიზისების.

მე-VI სამოცანების ასენა

1) მეტნიერება (სწავლა). 2) რკინის გზა.

სამათემათიკა გამოცანა: 1) მსახურმა ათი მანათით იყიდა 60 კვერცხი—60 კაპეიკისა, 33 ქათამი—6 მ. და 60 კ., 7 ბატი—2 მ. 80 კ. 2) პირველად ქვევრიდამ ამოილო სამი თუნგი და ჩასხა ხუთ თუნგიანში, მეორეთ კიდევ ამოილო სამი თუნგი და მიუმატა ხუთ თუნგიანს, მორჩა ერთი თუნგი ღვიძლი. ხუთ თუნგიანი ისევ ქვევრში ჩასხა, მერე სამ თუნგიანიდამ მორჩენილი ერთი თუნგი ხუთ თუნგიანში გადასხა, კიდევ აავსო ქვევრიდამ სამ თუნგიანი და გადასხა ხუთ თუნგიანში, ისე რომ ქვევრშიაც ოთხი თუნგი დარჩა და ხუთ თუნგიანშიაც ოთხი თუნგი იყო.

ანაგრამა: —ივერია.

ეპიტეტისა: სოფელი ვნახე უძალლო, შიგ გაეიარე უჯოხო.

შარადა: მიწა-წყალი.

რებუსი: ზამთარში ბუხარი კარგია.

რებუსი ახსნეს ელიკო თუმანიშვილისამ და ლუარსაბ ფურცელაძემ.—გამოცანები ახსნა ქუთაისის გიმნაზიის მე-IV კლასის მოწაფემ გიორგი ჯაყელმა.

— აქედაქტროც-გამომცემელი ან. თუმანიშვილი-წერეთლისა. ქს—

Environnement et développement

გამოვა 1892 წელსაც ორ თვეში ერთხელ იმავე პროგრამით, ჩოგორუათაც აქამდის.

„ჯეჯილში“ დაიბეჭდება: მოთხრობანი, ლექსები, ზღაპრები, მოგზაურობის და შესანიშნავ-კაცთა ცხოვრების აღწერა, პოემები, მოკლე ამბები, სამეცნიერო წერილები, საბავშო სათამაშონი და სავარჯიშონი, სამათემატიკო გამოცანები, იგუვები, ანდაზები, გამოცანები, ნარევი, რებუსები და სიმღერები ნოტებით.

ჟურნალში მონაწილეობის მიღება აღგვითქვეს ყველა ჩერნბა საუკუთხესო მწერლებმა.

ეურნალი „პეტოვი“ ტფილისში დატარებით ლირს—3 მან., ტფილის გარეშე გაგზავნით 4 მან.

ცალკე ნომრის ფასი ტფილისში არის 70 კაპ., ხოლო სხვა
ქალაქებში—ქუთაისს, ბათუმს და გორში,—75 კაპ.

ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ წლით და ნახევარ წლით.

ხელის მოწერა მიიღება:

- 1) ტვილისში—,,წერა-კიოხვის საზოგადოების“ კანცელარიაში (Дворцовая ул., д. Зем. Банка, № 102), „ქართველთა ამხანა-გობის“ წიგნის მაღაზიაში და ოფიც „ჯეჯილის“ რედაქციაში (Крас-ногорская ул., д. № 7 Назарова).

- 2) ქუთაისში—გ. ნიკოლაძისას.

- 3) გორგი—ე. ვარდიშვილისა.

- 4) ბათუმში—ე. ნიკოლაძის სააგენტოში.

- 5) საჩხერეში — ყარაშან ჩეკიძისას.

Золотой альбом: Въ Тифлисѣ, въ редакцію грузинскаго
дѣтскаго журнала „Джеджили“.



ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1892 ГОДЪ
на газету
„НОВОЕ ОБОЗРѢНИЕ“
(девятый годъ издания)

Въ 1892 г. „Новое Обозрѣніе“ будетъ выходить въ Тифлісѣ, какъ и въ прошлые годы, ежедневно, по программѣ газеты литературной, общественной и политической.

Условия подписки: съ пересылкою и доставкою: на годъ 10 р., на полгода—6 р., на три мѣсяца—3 р. 50 коп., на одинъ мѣсяцъ—1 р. 50 коп., За границу: на годъ—17 р., на полгода—9 р., на три мѣсяца—5 р., (Подписька принимается не иначе какъ, считая съ первого числа любого мѣсяца).

Для годовыхъ подписчиковъ, какъ городскихъ, такъ и иногород-
ныхъ, обращающихся непосредственно въ контурѣ редакціи, допу-
скается разсрочка, на слѣдующихъ условіяхъ: при подпискѣ вно-
сится—3 р., къ 1-му марта—2 р., къ 1-му мая—3 р., и къ 1-му
сентября—2 р.

Подписка и объявления принимаются:

а) ВЪ ТИФЛИСЪ: въ конторѣ газеты, Головинскій проспектъ, домъ Читахова, № 12.

б) ВЪ ОТДѢЛЕНІЯХЪ КОНТОРЫ:

1) ВЪ БАКУ—при аптекарскомъ магазинѣ И. Г. Чубинова, на Михайловской улицѣ, домъ Мирза-Авакова и Карабегова.

2) ВЪ КУТАИСЬ—при книжномъ магазинѣ братьевъ Чиладзе, на Тифлисской улицѣ, противъ собора, въ собств. домѣ.

3) ВЪ БАТУМѢ—при книжно-газетномъ агентствѣ М. Николадзе

У АГЕНТОВЪ КОНТОРЫ:

1) ВЪ Г. ШУШЬ—С. О. АНАНЬЕВА, на площади Топханэ.

2) ВЪ Г. ГОРИ—Ир. И. Рамишвили.

3) ВЪ ЕЛИЗАВЕТПОЛЪ—Г. А. Альтгаузена, при торговлѣ аптекарскими товарами.

Въ отдѣленіяхъ и у агентовъ подписка и объявленія принимаются по редакціоннымъ цѣнамъ безъ всякой надбавки. И ногородные адресуютъ свои требованія: Въ Тифлісъ, въ редакцію „Нового Обозрѣнія“

Лица, подписавшіяся (безъ разсрочки) на годовое изданіе „Нового Обозрѣнія“ 1892 г. въ настоящее время, будутъ бесплатно получать газету въ текущемъ году со дня подписки.

Въ газетѣ принимаютъ постоянное участіе: В. Л. Величко, Ветеранъ, Ю. С. Гамбаровъ (проф.), А. Д. Ерицовъ, Г. Ф. Майашвили, Н. Г. Мансуровъ, Н. Я. Николадзе, П. А. Опочинин, (Горесмѣховъ), И. Ф. Тхоржевскій, (Иванъ-да-Марія), А. А. Тхоржевская, А. Хах-оевъ, Г. Е. Церетели, Ширванз де, П. М. Якимовъ и др. Кромѣ того, „Новое Обозрѣ“ имѣетъ постоянныхъ корреспондентовъ во всѣхъ большихъ казацкихъ городахъ, а также въ Петербургѣ и Москвѣ.

Редакторъ В. М. Тумановъ.
Издатель К. М. Тумановъ.

112 ქ ე ს ი ა ხ

გამოვა 1892 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1892 წლისათვის,

მ ი ჭ მ ა რ თ ო ს

ტფილისში: ა) თითონ რედაქტიას, ნიკოლოვაზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძევლის პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21,
ბ) „ქართველთა-მორის წერა-კითხვის გამარტინებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-ზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეაში, № 102.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის
ადრესით:

Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРИЯ“.

გვ. 9-ით წლით დარს 10 მას., ნახევარ წლით — 6 მანათი.

გამოვიდა და ისულება უგელა წიგნის მაღაზიებში

ვალერიან გურიას მიერ უდიგენილი

1892 წლისთვის

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ მ ს კ ა ლ ე ნ დ ა რ ი

დასრულებული მრავალის სურათებით

ფასი 45 გაზ.

უბის წიგნი 1892 წლისათვის

მმენიერის ყდით და ყარანდაშით

ფასი 40 გაზ.

ს ა ხ ა ლ ხ მ კ ა ლ ე ნ დ ა რ ი

მრავალ გერმ საჭირო ცნობებით

ფასი 10 გაზ.

უმთავრესი საწყობი ქართველთა მსახაგადის წიგნის მაღაზიაში

წიგნის მოვაჭრეთ დაეთმობათ ჩვეულებრივი პროცენტი

დაწვრილებით ცნობათათვის მიჰმართონ ქართვ. ამხან. წიგნ. მაღაზიას.

„тифлисскій листокъ“

подписка на 1892 годъ.

Газета „тифлисскій листокъ“ будеть выходить по прежнему ежедневно, исключая дней **послѣ праздничныхъ**.

Малый форматъ газеты лишаль редакцію возможности не только периодически знакомить своихъ читателей съ выдающимися событиями русской и иностранной жизни, но она не могла даже помѣщать ежедневно весь материалъ, относящиіяся къ мѣстному отдѣлу.

Съ цѣлью дать больше материала для чтенія, газета съ начала декабря мѣсяца будеть печататься на бумагѣ средняго листа въ пять колоннъ:

Съ увеличеніемъ формата „тифлисскій листокъ“ ежедневно будеть имѣть всѣ отдѣлы ежедневныхъ газетъ.

Редакція по пережнему направилъ всѣ усилія къ развитию отдѣла о мѣстныхъ злобахъ дня и о выдающихся событияхъ общественной жизни Кавказа.

Подписная цѣна:

Съ доставкою въ Тифлисѣ:		Съ пересылкой для иногородныхъ:
--------------------------	--	---------------------------------

На год	5 р.	На годъ	6 р.
„ полгода . . .	3 „	„ полгода . . .	3 „ 50 к.
„ 3 мѣсяца . .	1 „ 75 к.	„ 3 мѣсяца . .	2 „

Объявленія принимаются для Россіи и заграничныя исключительно въ центральной конторѣ объявлений быв. Метцль, въ Москвѣ.

Редакція и контора помѣщаются: въ Тифлисѣ, на Головинскомъ проспектѣ, въ домѣ Ротинова.

Редакторъ-издатель Х. Г. Хачатуровъ.

ОТКРЫТА НА 1892 ГОДЪ ПОДПИСКА

на армян. иллюстрир. единст.
ежемѣсяч. журналъ
„АГБЮРЪ“
(Х. ГОДЪ ИЗДАНІЯ)
выходитъ въ годъ 12 номеровъ

Программа ОТДѢЛЪ I-й

1, Повѣсти, рассказы, сказки, путешествія, біографіи, поэмы, эпизоды. 2, Стихотворенія, 3, Наука и искусство. 4, Смѣсь. 5, Мелочи. 6, Дѣтскія, педагогическая, шахматныя и другія игры. ребусы, математическая задачи, анекдоты, загадки, поговорки пословицы и т. д. 7, Пѣсни съ нотами.

ОТДѢЛЪ II-й

Статьи, касающіяся воспитанія и обученія дѣтей. 9, Проекты и совѣты. 10, Бібліографія. 11, Смѣсь. 12, Отвѣты и объявленія.

на армян. единств. иллюстрир.
еженедѣльный журналъ
Приложеніе „Таразъ“ Агбюръ
(III. ГОДЪ ИЗДАНІЯ)
выходитъ каждое воскресенье
отъ 1—2 листовъ

Программа

Изящное искусство и наука. Историческая и современная романы, поэмы, пьесы, повѣсти. Стихотворенія.. Критика и Бібліографія. Парижскія моды и рукодѣлія. Домашнее хозяйство. Путешествія и эпизоды. Театр и музыка. Статьи и корреспонденціи. Фельтоны. Шутки, забавы. Смѣсь. Новости. Шахматныя и другія игры. Отвѣты. Объявленія.

По случаю десятилѣтія журнала „Агбюръ“ подпишчики получатъ 51 премію.

С. Григорій просвѣтитель, гравюра 44+62 сан. Хримян Айрикъ гравюра 44+62 сан. Артистъ Адамянъ, гравюра 44+62 сан. Художественный Альбомъ. (12 изящн. фототип., св. Эчмиадзинъ и егс окрестности. Карта Кавказскаго края. Фридольни Шиллеръ, переводъ на стар армян. яз. Раффи. Его мать, поѣсть Эммы Виттеманъ. Иллюстрированный путеводитель по Кавказу и Кавказскимъ минеральнымъ водамъ. Христофоръ Колумбъ, (біографія его и открытие Америки, съ портретомъ, послучаю 400 лѣт. открытия Америки). Пе-

дагогический сборникъ. Десятилѣтіе журнала „Агбюръ“, сборникъ съ портретами армянскихъ выдающихся литераторовъ. 32 фототипныя и автотипныя рисунки, портреты изъ Нового Завѣта, исторического и народного быта. Въ четырехъ выпускахъ. Париж. Моды, и проч.

Подпишчики на журналъ „Агбюръ“ и „Таразъ“ получаютъ до нового года 8 премій одновременно, а остальная въ теченіи года. Подпишчики только на журналъ „Агбюръ“ получаютъ 31 премію.

Годовая плата журнала „Агбюръ“ 3 руб. 28 к., а журнала „Таразъ“ 6 руб. Адресъ: Тифлисъ, „Агбюръ“ или „Таразъ“.

Редакторъ-Издатель Т. Я. Назарянъ.

მიიღება ხელის-მოწერა 1892 წლისათვის ორ კვირეულ გამო-
ცემათა ჩართულს.

„მუშაქედ“

და

რუსულ „ПАСТЫРЬ“-ზედ

მიზანი და დანიშნულება გაზეთისა: 1) შეატყობინოს სამ-
ღვდელო და საერო წოდებას ყველა განკარგულება და მოქმედება
უმაღლესთა სასულიერო და სახორციელო მართებლობათა, კონსის-
ტორიათა და მღვდელ-მთავართა; 2) გააერცელოს ქართველ სასუ-
ლიერო წოდებაში და ხალხში სალიტერატურო სწავლა და ცოდნა
საეკულესიო და საზოგადოებრივი ცდოვრების კითხვათა შესახებ; 3)
გააერცელოს საქართველოს სამღვდელო და საერო წოდებაში სწავ-
ლა და მეცნიერება ქრისტიანობრივი კეთილ ზნეობისა და სარწმუ-
ნოებისა და 4) აუხსნას და განუმარტოს სამღვდელო და საეკულე-
სი ო მოსამსახურე პირთა ზოგიერთი საეჭვო კითხვები, რომელთა
კოდნა მიუკილებელ საჭიროებას შეადგენს მათვის მტკიცედ მა-
თი მოვალეობის აღსრულებისათვის.

მიზანი და დანიშნულება რუსული გამოცემისა, ზემოხსენებუ-
ლის პროგრამის აღსრულების გარდა, არის—1) შეატყობინოს რუ-
სეთის სასულიერო და საერო წოდებას შინაარსი შესანიშნავ და საი-
ნტერესო „მწევამს“-ში დაბეჭდილ სტატიებისა; 2) გააცნოს რუსე-
თის სასულიერო და საერო წოდებას საქართველო, ეს დაშორებუ-
ლი კუთხე რუსეთის იმპერიისა და საქართველოს სასულიერო და
და საერო წოდება ქართული გამოცემის სამუალებით გააცნოს რუ-
სეთის სასულიერო მწერლობას და ხალხის ცხოვრებას.

უ ა ს ი გ ა ზ ე თ ი ს ა :

- | | |
|------------------------|-----------------------|
| 12 თვით „მწყემსი“ 5 გ. | 6 თვით „მწყემსი“ 3 გ. |
| — „ორივე გამოცემა 6 ” | — „ორივე გამოცემა 4 ” |
| — „რუსული „ „ 3 გ. | — „რუსული „ „ 2 გ. |
- ჩედაქციას აქვს კანტორები: ქოჩისში ხანანაშეილების სახლე-
ბში და ყვირიაღშა რედა ტორის საკუთარს სახლებში
- გაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება როგორც ყვირადაში, აგრე-
რე ქუთასშიაც.

ბარეშე მცხოვრებთა გაზეთის დაბარება შეუძლი თ ამ აღრესი:
Въ Квирдлы, въ редакцію газетъ „МЦКЕМСИ“ и „ПАСТЫРЬ“



ეროვნული ბიблиოთეკა
საქართველოს